

619
1972



ԷՅՄՆ

№ 7 03 ԸՈՆՈ 1972



გიორგი ლეონიძე და დიმიტრი გულია.

ფოტოები ს. კოროტაშვილისა და მ. ალპერტისა.

კომპოზიტორი რ. გუმბა და მთქმელი მ. თარკილი.

11831

აფხაზისა

გიორგი ლეონიძე

ზღვის და მთების მომღერალო,
რომ სწურაფდი ცრემლს, ხან ბაღლამს.
დღეს დაშვინდი ხალხის გულზე,
ვარდი შენ ხარ, ოქროს ტალღაქი -
სულ მესმოდა შენი თრთოლა,
შენი ჟღერა, შენი ხმაცა,
ფანდურის ძმავე, ხმადამტკბარო
აფხაზურო აფხიარცა!
ერთ არწივის ორი ფრთა ხართ,
ერთი დიდი გულისთქმაცა!
წყალრ მიდის წყალხიკენ
და მშობილი მშობილს თქმებს,
მეგობარო ძველისძველო,
გული თაფლით შემინწებე!
თურმე მზის და ხალხის შორის
დიდი, დიდი თოვლი იდო,
ცამ რაც ნაში ჩამოყარა,
წინაპართა ცრემლი იყო!
გვეყო, გვეყო, რაც წარსულმა
ყანა დაღმა დაგვიფარცხა,
ჩვენს აკვანში ვარდი ჰყვავის,
მზეში სცურავს ჩვენი ფაცხა.
ერთად ჟღერდით, როგორც არსად,
ფანდურო და აფხიარცა!
ერთ არწივის ორი ფრთა ხართ,
ერთი დიდი გულისთქმაცა!

* აფხიარცა ეწოდება სახალხო მუსიკალურ საკრავს აფხაზეთში.



საქ. მს. კ. მარქსის
სახ. საბ. წიგნ. მუზეუმი



1942 წ. მამსირ კიუთი და პატარა გენადი.

უპირობო

1972 წ. გენადი კიუთი და მისი ცოლ-შვილი


1942 წლის შემოდგომა. სოხუმის პორტი ხალხით არის სავსე. სოხუმელებმა იციან, რომ სულ მალე გამოჩნდება გემი, რომელსაც ლენინგრადიდან ლტოლვილი ბავშვები მოჰყავს სამხრეთისაკენ. გემი უხმამუროდ მოადგა სანაპიროს. გემბანზე ჩანან სახემკრთალი, თვალეზჩაღამებული ბავშვები. ომით გაწამებულ პატარებს ფაშისტები არც ზღვაში აძლევდნენ მოსვენებას. ძლივს გამოვიდნენ სამშვიდობოზე.

აღრმელებული ხალხი სიუვარულით შეეგება ნორჩებს; აქვე, ნავსადგურშივე გადაწყვეტის სოხუმელებმა შვილებად აეყვანათ პატარა ლენინგრადელი ობლები. ას წელს გადაცილებული პაპა მამსირ კიუთი დაიბარა, მის ფეხებთან ატუშული ბუთბუზა ბიჭი პაერში აიტაცა და გულში ჩაიკრა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. მამსირ კიუთი აღარ არის, მაგრამ მის ოჯახში აღზრდილი გენადი კიუთი ყოველთვის განსაკუთრებული სიუვარულითა და მოწინააღმდეგეობით ახსენებს მის სახელს.

აფხაზეთში აღზრდილი ვაჟკაცი გენადი კიუთი დღეს მოწინავე და ბედნიერი ადამიანია. დაოჯახდა, აფხაზი ქალი მოიყვანა ცოლად. ოჯახი სიხარულითა და ბედნიერებით აივსო.

ოჯახშირის რაიონის სოფელ კინდლის კოლმეურნეობის მოწინავე ტრაქტორისტს გენადი კიუთის მშობლები ომში დაეხოცა, მაგრამ მან მზიურ აფხაზეთში ახალი მშობლები შეიძინა. ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა ქვეყანამ მას, ათასობით და ათათასობით ობლად დარჩენილ ბავშვებთან ერთად სიბო, ყურადღება და მზრუნველობა არ მოაკლო.

ლ. ავიძბა



ვასწი, ვაპყუე...

მორჩა, გათავდა, დატოვე, ლექსო,
ჩემი მაგიდა — შენი აკვანი,
დატოვე ჩემი სახლი და ეწო,
წადი, მონახე შენი გზა-კვალი
წადი, ნუ დგახარ, ოთახის კართან
ნუ მიცქერ, ლექსო, მშიერ ბავშვებით,
ნუ მეკვრი, როგორც მშობელის კალთას,
მონახე ბედი, შენი არჩივის
ჩაგბერე ჩემი სულის ნაწილი,
აგანთე, როგორც ოქროს კანკელი,
გზად გაგატანე თვალი არწივის,
გზად არაფერი არ დაგაკელი.
ჩაგიდგი ენა, ენა იმგვარი,
არ დაგჭირდება არსად მთარგმნელი;
გასწი, გაკაფე ყველა გრიგალი,
იხარე, სძლიე ბედი მჩაგვრელი.
ო, წადი, მაგრამ თუ უსახელოდ
მომიხვალ უკან, როგორც აჩრდილი,
ვერ შეეფარებ, ჩემო ნაღველო,
კარს მოგიხურავ მე გულდაქრილი.
მე ვუმღერ გმირებს და ვაუცხობას,
ვიყავ ყოველთვის მხალთა მგომბელი,
ვინც ბრძოლის ველი მხდლურად დატოვა,
კარს არ გაუღებს მამა მშობელი.
ყრმა არ ხარ, თუმცა გაჩნდი ამ დილით.
ანაკის სუსხი არ მოგხვედრია;
უასაკოა ლექსი ნამდვილი,
ასაკი მხოლოდ მგოსნის ზვედრია.

თარგმანი ირაპალი აბაშიძემ.



სად არ ვყოფილვარ,
ქვეყანაზე რა არ მინახავს,
სამყარო ჭრელი სიზმარივით
არის დიალაც.
გადაქიმულან ტრამალები უკიდრგანო,
ზოგან ტბები და გაუფალი ჭაობები,
ზოგან მთები,
ზოგან ტყეა ანდა ზეგანი —
წვიმებისაგან მიწის ქერქი დაობებით.
ზოგან მიწაა მზის ლაღარში
გამოკვერილი,
მაშვრალი ხალხი ინაწილებს
ობლის კვერთხით.
ოფლით ირწყვება დახეთქილი
კირქვა ბელტები,
რაც გინდა ჰქენი, ამ მიწაზე
ვერ დაბერდები
ზოგან ბუნების სიუხვით,
არის სიმდიდრე,
დულს და გადმოდულს სხვა ცხოვრება
ეშმაკეული.
ბევრი უბრალო საჩრდილობელს
ვერ დაიმკვიდრებს,
უფრო ბევრი კი სიმდიდრისაგან
ღეშად ქცეულია.
ვინ გაიპაროს,
ვინ დათვალოს ცოდვა და მადლი,
უცხო ქვეყნები გაფენილი
ჭრელ-ჭრელ სიზმრებად.
უცხოეთიდან მობრუნდები
და რაც დრო გადის
ეს შენი კერა უფრო შეენის,
უფრო იზრდება.
ო, აფხაზეთო, უცხოეთში სადაც ვიყავი,
იქ დაგიფასე იგ სიკეთე,
იქ დაგიმადლე.
შენა ხარ ჩემი აუხსნელი
სიბრძნის იგავი,
ჩემი კაცობის, ჩემი რწმენის დიდი სინათლე!
აქ ჩემი მზეა, ჩემი ცაა, ჩემი ჰაერი,
სხვა ფერი დაჰკრავს, სხვა სურნელი
აქაურ ვენახს,
ხალხიც კარგია აქაური,
სულ სხვანაირი,
წვიმაც და თოვლიც, პაპანებაც
და ფოთოლცვენაც.
მზე პლანტაციებს და ხეხილებს
აწვიმს თქრიალით,
ქმნიან სიჩუმის სიმონიას
ზღვის აკორდები,
ცაში აჭრილან სიმინდები
მზის ქორიანი,
დაჭარვებულან თამბაქოთი
შენი კორდები.
ო, მეგობარო, უცხოელო თუ შინაური,
მოდი გავტეხოთ დრო და სივრცე,
როგორც ყამირი.
ჩემი სიმღერა,
ჩემი სიტყვა შენთვის ხმაურობს,
მოდი გაუცქვენი და იგემე
ფორთოხალივით.
თუმც პატარაა აფხაზეთი,
სულ ერთი ციდა,
ის არის ჩემი ერთადერთი
უსაზღვროება.
დიდ ქმურ ოჯახში მოკიაფე
ვარსკვლავი წმინდა,
სინდისი, რწმენა, სიხარული და სათნოება.

თარგმანი შოთა ნოზინიძემ.

ჭიჭიქო ჯონია

კინოთეატრში

კინოთეატრში უსიტყვოდ სხედან,
ეკრანზე ბოლავს ცეცხლი და რვალი...
ყველაფერს, რასაც სურათში ხედავთ,
გუშინ ვუმწერდი საკუთარ თვალთ.

კინოთეატრში უსიტყვოდ სხედან,
ჩანან თვალები ცრემლისგან სველი...
ძმებო, დაცემულ ჭაბუკს რომ ხედავთ,
ის მე დავმარხე საკუთარ ხელით!

კინოთეატრში უსიტყვოდ სხედან,
დარბაზში უფრო მოხშირდა ცრემლი...
ძმებო, დაჭრილი რომ უხმობს დედას,
ის მეომარი ძმა იყო ჩემი!

აი, მოზღვავენენ რკინის სვაგები...
აკვანთან უმალ მოიჭრა ალი.
ოთხი წლის გზაზე ცრემლს ვიკავებდი,
ახლა ცრემლებით მევსება თვალი.

თარგმანი შოთა აბოზიამ.

შალვა ნიქაბა

აფხაზეთის ზედი

აფხაზეთ ბაღში რა დაღვეს ფერებს,
ნიავეზე ბაღი ზღვისებრ ხმაურობს, —
დინჯად გიწვდენენ დაყურსულ ხელებს,
ოღონდაც პირი დაიტკბარუნო.
ნიავეზე ისმის შრიალი ხეთა,
შრიალებენ და მოჰყავთ აისი
და ბაღიც სტუმარს ღმილით ხვდება,
როგორც აფხაზი დიასახლისი...

თარგმანი შალვა ამისულაშვილმა.



ცხოვრებაში რა აღარა ხდება... ეს შემთხვევა ჩემი ბავშვობის მეგობარმა სეილა მიამბო.

— როცა მე და ჩემი აიშა დავქორწინდით, ძალიან ახალგაზრდები ვიყავით. ისე გვიყვარდა ერთმანეთი, რომ ალბათ, ბევრს შურდა კიდევ.

მეექვსე საათულზე ვცხოვრობდით, სახლი ულიფტო იყო, მაგრამ, მერწმუნეთ, ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. როგორც კი აიშა ფანჯრიდან თვალს მომკრავდა, რომ შინ ვბრუნდებოდით, თიკანივით ჩამოვრბუნდით კიბეებს შესახვედრად და სანამ ჩვენს პატარა ოთახამდე მივალდებოდით, დაუღლებლად ვკოცნიდით ერთმანეთს. არასოდეს არა ვჩხუბობდით, ყველაფერს ვუთმობდით ერთმანეთს და კინკლაობის მცირეოდენ საბაბსაც კი ვერიდებოდით...

აიშა მუსიკას სწავლობდა და როიალს უკრავდა. მას არასოდეს ავიწყლებოდა, რომ ანდრია ბალანჩიგაძის „რიწის სიმფონია“ მიყვარდა. ეს, ალსაქმელად მეტისმეტად ფაქიზი მუსიკალური ნაწარმოები, რომელშიც დაკარგული სიყვარულის გაუქარებელი ნაღველი ისმის, ძნელად თუ პასუხობდა ჩვენს განწყობილებას, მაგრამ რატომღაც ძალიან მომწონდა იგი და აიშაც ყოველთვის გუნჯაუთრებელი განწყობილებით უკრავდა.

ეჰ, საყუთარი პიანინო ჯერ არა გქონდა და გადაწყვიტეთ პირველივე შესაძლებლობისთანავე შეგვეძინა.

ერთხელ ქუჩაში განცხადებას წაგაწყვდით: იყიდება პიანინო.

ცივი, ქარიანი დღე იყო. აიშა ცოტა უგუნებოდ გახლდათ და მთხოვა მარტო წავსულიყავ პიანინოს სანახავად.

წავედი. კარი პატარა, ცხვირბუჩკილმა ქალმა გაძლიო. ვუთხარი, რომ განცხადების გამო მივედი და დისასხლისმაც ოთახში შემიპატიო.

პიანინოს არა უშავდა რა, ხმა კარგი ჰქონდა. ის იყო მაგიდასთან დავსხდით და პიანინოს ხარისხსა, ფასსა და გაყიდვის მიზეზზე დავიწყეთ ლაპარაკი, რომ კარებში დაუქაქუნებლად შემოვიდა ვიღაც კაცი. მის გამოხედვაში რაღაც არასასიამოვნო იგრძნობოდა.

— ფედია, — მიმართა მას ქალმა, — ჩვენ ახლავე მოვრჩებით საუბარს.

ფედია იქვე კარებთან დაჯდა, პირქუშად შემთვალთვარა და მრავალმნიშვნელოვნად ჩაიბურღლუნა:

— ეგრე, ეგრე...

პიანინოს პატრონს მოველაპარაკე, ჩემი მისამართი დაუტოვე, გამოვემშვიდობე და წამოვედი.

გზად ერთ ჩემს თანასოფელს შეეუარე და შინ გვიან დავბრუნდი.

მეორე დღეს კი უბედურება მელოდა. საღამოს, სამუშაოდან დაბრუნებულს აიშა ჩვეულებრივად არ შემომეგება. ფანჯარასთან მჯდარი უნუგეშოდ ქვითინებდა და ხელში რაღაც კონკრეტს კმუჭნიდა. ვიფიქრე, ალბათ, ბაქოდან მშობლებისგან რამე სამწუხარო ცნობა მიიღო-მეთქი და აღვღვებით ვკითხე:

— რა მოგივიდა, ძვირფასო? მამაშენს ხომ არაფერი დაემართა?

პასუხის მაგიერ აიშა კიდევ უფრო აქვითინდა და კონკრეტი გამომიწოდა. კონკრეტიდან ბარათი გადმოვარდა. ავიღე და უშალ მივხვდი, რომ ჩემს მისამართზე იყო გამოგზავნილი.

„ბატონო სეილა! — მაცნობდნენ უთანაბრო, დაბრეცილი სტრეიონები, — ასეთი ლამაზი ცოლის პატრონს როგორ არა გრცხვენიათ, რომ სხვა ქალებთან დაეთრევით? უკვე სამი თვეა გითვალთვალებთ და ბოლოს, როგორც იყო, დღეს მაინც წაგასწარი დასაშუაღლის ადგილზე, დინასთან. დინას გულსთვის ჩემი ოჯახიც კი მივბატონე. მე ის მიყვარს და თქვენ არაფრით არ დაგანებებთ!“

ბარათში კიდევ ეწერა რამდენიმე მსგავსი შეურაცხყოფელი ფრაზა. ხელმოწერა გაურკვეველად იყო ჩაგრებილი.

მოხს სიკვლევა



ნოველა

მიხილ ლაქაბანი

პირველად ვერაფერი გავიგე, მაგრამ როცა მივედი იქამდე: „თქვენი ლაპარაკი პიანინოზე მხოლოდ თვალის ახვევა იყო,“ მაშინვე მივხვდი, ამას სწორედ ის ფედია წერდა, რომელიც პიანინოს პატრონთან ვნახე. ეტყობოდა, ვიღაცაში შევეცვალე. ხმაილადა გამეცინა და ცოლს მივუბრუნდი:

— ეს სულელური გაუგებრობაა, გენაცვალე. ახლავე ყველაფერს აგიხსნი.

მინდოდა მოვფერებოდი, მაგრამ უკმეხად მკრა ხელი.

— არავითარი გაუგებრობა არ არის. ჩემთვის უკვე ყველაფერი ნათელია. ეს სამი თვეა, რაც საღამოობით სადღაც მიდიოდი და გვიან ბრუნდებოდი. მორჩა, ჩვენს შორის ყველაფერი გათავებულა... სამუდამოდ!

ამოდ ვცდილობდი გონზე მის მოყვანას. დიდხანს და მგზნებარედ ვარწმუნებდი, რომ უდანაშაულო ვარ, მაგრამ აიშას ჩემი მოსმენაც არ უნდოდა. მაშინ ავღეჭი და მისი უსამართლობით აღშფოთებული, სახლიდან წავედი.

ერთ თმსანაგთან დავბინავდი. გამუდმებით მტანჯავდა ნაღველი, მაგრამ რადგანაც დაუშახურებლად ვიყავი შეურაცხყოფილი, თავმოყვარობამ უკან არ მომახედა. ან რა სათქმელია: აიშაც და მეც ამყინ და მეტისმეტად ფიცხები ვიყავით...

გავიდა თითქმის ერთი წელი. ერთხელ, აიშას ერთმა მეგობარმა მაცნობა, რომ აიშა შინ, მამასთან ბრუნდებოდა და ჩემთვის ჩემი პირადი ნივთების გადმოცემა უნდოდა.

წავედი აიშასთან. გული მტკიოდა, რადგან იგი ისევ მიყვარდა... გზად გამახსენდა, რომ შოკოლადი უყვარდა. ვიყიდე „ოქროს იარაღის“ ფოლა და გადავწყვიტე შეუმჩნეველად ჩამეღო მისთვის ჩანთაში.

თუ აღამიანებს ერთმანეთი ნამდვილად უყვართ, ისინი ერთმანეთის მცირეოდენ სურვილსაც კი ხვდებიან. იციან რა მოსწონთ, რა სურთ და რა არა.

როცა მივედი, ბარგი უკვე შეკრული იყო. მანქანამდე მივაცილე, თავდაპირველად გამოვეთხო-

ვეთ ერთმანეთს. შინ დაბრუნებულმა პალტო ჩავტყვი და დარდის გასაქარებლად ქუჩაში სახეტიალოდ გავედი. ჯიბეში ხელი ჩავიყავ და შიგ ქალაქში შეხვეული ნიგვზის ხალვა აღმოვაჩინე. ხალვა მე ბავშვობიდან მიყვარდა. მან ეს იცოდა... ასე მოხდა უტყვევი განშორება. ასე ვაჩუქეთ ერთმანეთს ჩვენ ჩვენი საყვარელი ტკბილეული...

გზებმა და ბილიკებმა აიშა ჩემგან შორს, შორს წაიყვანეს.

გავიდა მრავალი წელი. დიწყო სამამულო ომი, დამთავრდა კიდევ, ჩვენ კი ერთიმეორეზე არაფერი ვიცოდით და, უნდა ითქვას, კარგა ხანია აღარც გვეცნობდნენ ერთმანეთი.

ცოტა ხნის წინ მოსკოვიდან შინ, აფხაზეთში დავბრუნდი. ერთხელ, როგორღაც, მაღალმთიან სოფელ ოთხარაში ერთ ჩემს კარგ ნაცნობს გადავეყარე. მან ღამის გასათევად შინ წამიყვანა.

მისი სახლი გორაკზე და თანაც ძალიან მაღალ ბოძებზე იდგა. გრძელსა და ფართო აივანზე ავედით.

— შენ, ალბათ, მთების სიმაღლე გეცოტავა, რომ სახლიც ასეთ მაღალ ხიზინაზე დაგიდგამს! — გავეზომრე.

— აქედან ზღვა უფრო კარგად ჩანს, — უბრალოდ მითხრა.

შემდეგ მოხერხებულად მოვეწყვეთ აივანზე და იქაური კოლმეურნეობის გეგმებსა და საქმეებზე გავაბით საუბარი.

მოსაღამოვდა. მაღე მთვარემ თავის მუქში გახვია ხეები და შორეული ზღვის გლუვ ზედაპირზე ვერცხლისფერი ბილიკი გაავლო.

უცებ საღამოს სიჩუმე როიალის ხმამ დაარღვია. მეზობელი ოთახიდან მელოდა გაისმა... „რიწის სიმფონია“. სულერთიან აფფორიაქი. მომეჩვენა, რომ სულ ახლოს, აქვე გვერდით, აიშა უკრავდა...

გულისფანცქალით ვკითხე მეგობარს:

— მგონი კედლის იქით უკრავენ. ვინ უკრავს?

— ოო, ეს ჩვენი კოლმეურნეობის საუკეთესო ბრიგადია! მისმა მეციტრუსეთა ბრიგადამ ცოტა ხნის წინ მოსკოვის გამოფენაზე დიდი პრემია და მედალი მიიღო. ამასთანავე, როგორც ხედავ, მშვენივრადაც უკრავს. მისი ქმარი კოლმეურნეობის მეფრინველრობის ფერმის გამგეა. სხვათაშორის, ამ სახლის ნახევარი მათათ ეკუთვნით. თუ გინდა, გავაცნობ. შესანიშნავი წყვილია და ძალიან სტუმართმოყვარეც არიან...

ჩემი მღელვარება გაძლიერდა. მეტი შეკითხვა აღარ მიმიცია.

ჩემმა მეგობარმა შესვლის ნებართვა ითხოვა, მეზობელთან ოთახში შემიყვანა და წარმადგინა. გულმა და სმენამ არ მიმტყუნა: როგორც კი ზღურბლს გადავბიჯე, ჩემი თვალები აიშას თვალებს შეეფეთა! ოც წელზე მეტი გავიდა, მაგრამ მომეჩვენა, რომ სრულებით არ გამოცვლილიყო. სიყვარულმა ჩემში ძველებური სიძლიერით იფეთქა და უნებურად შეგვკრთი. შეკრთა ისიც.

მოულოდნელი შემოჭრისთვის მოვიბოდიშე და ვთქვი, რომ დამნაშავე „რიწის სიმფონია“ იყო, რომელიც ყოველთვის მიყვარდა და ახლაც მიყვარს.

— გთხოვთ, კიდევ ერთხელ დაუკრათ!


— სიამოვნებით! — მიბასუხა და როიალთან დაჯდა. დაკრისას ხმადაბლა მღეროდა ნაცნობ მელოდებს.

— მიყვარს ეს მშვენიერი სიმფონია, — თქვა აიშამ, როცა დაკრა დაამთავრა. მერე ნაღვლიანად დაუმატა — და, ალბათ, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მეყვარება.

მხოლოდ ჩვენ ორნი მივხვდით ამ სიტყვების აზრს.

და ეს სამუდამოდ დარჩება ჩვენს საიდუმლოდ. დაე, ასე იყოს...

თარგმანი ნათელა მიხვალაქამ.



კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. შაკაია მოსწავლეებთან.


ესი სოფლის ადამიანები



სახელოვანი მერაბი მ. ზოჯავა.

სოფლის ახალგაზრდობა.

ფოტო მ. არჩვაძისა.



ნ. ახალაია.

ოჩამჩირის რაიონი... სოფელი ბელია. აქაური კოლმეურნეობა მრავალდარგოვანი და უაღრესად მოწინავეა. გასული წლის საერთო მაჩვენებლების მიხედვით, კოლმეურნეობას საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდაამავალი დროშა გადაეცა.

ხუთწლედის პირველ წელს კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 250 ტონა ჩაის ნაცვლად 319 ტონა „მწვანე ოქრო“ მისცა სამშობლოს. ტუნგო დაამზადეს 221 ტონა (ნაცვლად 60 ტონისა), აბრეშუმი — 4166 კილოგრამი (ნაცვლად 2610 კილოგრამისა).

კოლმეურნეებმა თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ 7140 კილოგრამი ჩაის ნაცვლად 9130 კილოგრამი ნედლეული მოკრიფეს. ეს ციფრი კი მთელი რესპუბლიკისათვის საამაყო მაჩვენებელია.

— ეს წარმატება, რა თქმა უნდა, თავისთავად არ მოსულა, — გვითხრა ილარიონ შაკაიამ, რომელიც აგერ უკვე ოცდამეშვიდე წელია, რაც კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობს, — ჩვენი კოლმეურნეობის მიწა მთიანია, მექანიზაციის გამოყენება აქ შედარებით ნაკლებად არის შესაძლებელი. ბევრი ზრომატევალი სამუშაოს შესრულება ხელით გეხდება. დრო, — როგორც იტყვიან, ოქროდ გვიღირს. ერთი მიზეზი ესეც იყო იმისა, რომ ჩვენ სკოლებში ბავშვებისათვის უფასო საუზმე შემოვიღეთ. ჩაის კრეფის სეზონში, როცა თითოეული წუთიც კი ძვირფასია, მშობლებს ბავშვებისათვის საუზმის მომზადება აღარ სჭირდებათ.

გარდა დროის მოგებისა, ეს ამბავი კოლმეურნეობის სიმდიდრეზე და შესაძლებლობებზეც ბევრს მეტყველებს.

ახლა ცხარე დღეები დგას სოფელში. კოლმეურნეები მინდვრებსა და პლანტაციებში არიან გასულნი. ბედნიელი კოლმეურნეები ძალასა და ენერჯის არ ზოგავენ, რომ პირნათლად მოიხადონ თავიანთი ვალი და სამშობლოს რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მისცენ.



ქოქისნი უღრი ღვივა

ჯუბა ახუბა

ნოველა

მას არ შეუძენია როდის მოხდა, ან რა მოხდა, რა იყო ეს? გულგრილობა, მოწყენილობა? თითქოს ერთმანეთისაგან განაპირდნენ ის და ქვეყანა. უკვე აღარ ახარებდა მას ეს სამყარო თავისი წამიერი სიხარულით, აღარ ახარებდა თავისი საქმიანი ფუსფუსით; აღარც მის სადარდელოს ნაღვლობდა — ყველაფერი წარმავალია, ყველაფერი დავიწყებას იძლევაო, — უმტკიცებდა იგი თავის თავს.

ადრე მარტოობა შეაწუხებდა ხოლმე, ახლა კი ვერც კი წარმოედგინა, თუ რა უნდა ეთქვა, რა უნდა გაეკეთებინა ძველ მეგობართა შორის რომ მოხვედრილიყო. მათთან უფროსი ღლიდა. და ყველაფერი ეს როგორღაც უცებ მოხდა, — ერთ დღეს აღარ დაურეკა ამხანაგს (რა საჭირო იყო, რა უნდა ეთქვათ ერთმანეთისთვის?). მერე თავის არიდება დაიწყო ქუჩაში შემთხვევითი შეხვედრების დროს (დაუწყებდნენ გამოკითხვას, სადა ხარ, სად დაიკარგეო. რა უნდა ეპასუხნა?).

ახე ჩაიძინებს ხოლმე გადაქანცული კაცი: ვერც კი შეამჩნევს როდის დასძლებს ძალი.

წინათ კი: თვითონ დაქებდა მეგობრებთან შეხვედრას, არაფერი ჰქონდა მათგან დასაშალ-დასაფარი, არაფრისა და არავისი არ ეშინოდა! დიდ, კარგოჯახში გაიწარდა. განა ადრე შეიძლებოდა ვისმეს ეთქვა მისთვის პირქუში ხარო. ახლა კი, ეტყობა, ცოლი მართალი იყო, როცა ამას წინათ უთხრა: „შენგან სიტყვას ვერ გაიგონებს კაცი, ამ ოთხედელშუა მთლად გაველურდიო“.

არა, უცნაურია ყველაფერი, ნამდვილად უცნაური. განა ადრე როდისმე წასჩუბებია ცოლს? და ზანტად დაიწყო გახსენება: რაზე ილაპარაკეს უკანასკნელად, ვერ გაიხსენა. ალბათ რაღაც საოჯახო წვრილმანები იყო...

განა ვერ ხვდებოდა, როგორ ფარსავი რამ არ სჭირდა. გაველურდიო? არა, სიველურე რა შუაშია, ქალაქი დაუფიქრებლად წამოიძახა რაღაც. კაცი ისეთ დღეში იყო, ასე გგონია, საცა მძიმე ავადმყოფობა დაეწყებოდა.

უსაქმოდ მყოფი ხანდახან პიანინოს მიუჯდებოდა. რამე მინორულს, ძლიერ ნაღვლიანს დაუკრავდა... უსმენდა ბგერებს და, ერთმა ღმერთმა იცის, რას არ ხედავდა წარმოსახვაში: მთვარით განათებულ ზღვის ტალღების ქაფიან ფაფარას... სად და როდის წაეკითხა ამაზე, თვითონაც აღარ ახსოვდა.

და აი, ერთხელ ფანჯარა გამოაღო. ჭერ იწვა, უნდოდა რაღაცაზე ჩაიქარებულყო, ჩვეულებისამებრ რაღაცაზე დანაღვლიანებული, უცერად სავარძლიდან წამოღდა, ფანჯარას ხელი ჰკრა და ძირს გადაიხედა. ქუჩაში ყველა საითღაც მიიჩქაროდა, ზოგნიც ტროტუარზე იდგნენ და საუბრობდნენ...

ქუჩა ზღვისკენ ეშვებოდა. ზღვა იქუფრებოდა, ზვირთცემის ხმა ქარს ქალაქში შემოჰქონდა. ჰაერი შეხუთული იყო და გაახსენდა, რომ დიდი ხანია არ უწვიმნია. ფანჯარის დაბლა, ეწოში მიწა გამხმარიყო და დახეთქილიყო.

ოთახში უმიწოდ დაუიალობდა. კედლებზე დაკიდულ მინიან ჩარჩოებში ხედავდა თავის ბუნდოვან გამოსახულებას, — გატყეურებულ თვალბესა და

მწუხარედ შექმუნილ წარბებს. შეკრთა, შეშინდა. „არა, უნდა გავიდე გარეთ, ვნახო ვინმე“. გონებაში მიმოიხრია ნაცნობები და მეგობრები, ყველასთან სათითაოდ წარმოიდგინა თავი და მხრები აიჩეჩა. ყველა და ყველაფერი მოსაწყენი იქნებოდა. „ჩემს საიდუმლოს მხოლოდ ქალღმერთსა და კალამს მივანდობ“, თავისთვის წაიჭრუჭრულა სადღაც გაგონილი თუ წაიკითხული ფრაზა.

თუმცა არც წერა უყვარდა და არც რამე საიდუმლო ჰქონია. უბრალო ბართის დაწერაც კი მისთვის ნამდვილი სასწრაფო იყო.

„რა მაკლია?“ — ფიქრობდა გაკვირვებული. ბინაც ჰქონდა, სამსახურიც და ცოლიცა ჰყავდა. ცხოვრებაც ძველებურად მიდიოდა... ოღონდ გრძობდა, რომ მინც რაღაც აკლდა, ძალიან აკლდა, რაღაც მთავარი აკლდა, ურომლისოდაც ახლა სიცოცხლე არ შეეძლო, როგორც ახარდნას* ხის გარეშე.

ამასობაში აკრილდა და დღემაც ბინდისფერი დაიკრა. ქარმა ქუჩაში გაინავარდა და ასფალტიდან ახვეტილი ფოთლები ღობეებს მიაყარა. შორს, მთების თავზე ელვა დაიკლანა. მების გრუხუნმა მის ყურამდე ძლივს მოაღწია. ფანჯრის რაფაზე, მინაზე წვიმის წვეთები აწკარუნდნენ და წამოვიდა კოკისპირული წვიმა. შეზავებული სველი მტკრისა და ჩიციხისაგან გაფიცებული ფოთლების მძაფრი სუნით.

იღვა ღია ფანჯრის წინ და იცქირებოდა. ქუჩა დაცარიელდა, ქარისაგან ირიბად წამოსული წვიმა ქვაფენილზე ცეკვავდა. ვიღაც ღია ფერის ჩითის კაბიან ქალიშვილს თავს ზევით ხელებით გაქიმული თხელი თავსაფარი ეჭირა და ტროტუარზე გარბოდა. როგორც იყო მისი სახლის წინ აშოლტილ სოქთან მიიჩინა და ხის ტანს ზურგით აეკრა.

იგი ხედავდა ქალიშვილის წვიმით გაღუმბულ სახეს, წულით გაუიებულ საზაფხულო ფეხსაცმელსა და ტანზე შემოტმანნილ სველ კაბას. და როცა, გოგო დაიხარა და კაბის კალთას დაუწყო წურვა, ცოტას გაწვდა, არ გასძახა: „შემოდით შინ“, მაგრამ ქალიშვილი უცხო იყო, მთლად უცნობი. უმაღლესი შენიშნა შვედაკრული კანი და თავსაფრის ქვეშ ჩამოშლილი სწორი, ქერა თმა... უფოყმანოდ გაუმართა კარადისაკენ, სადაც მისი ცოლი ქოლგას ინახავდა. ქოლგა ვერ იპოვნა. მაშინ ცოლის ლაბადა ჩამოიღო და ქუჩაში გავიდა.

— მოიხურეთ. მე ამ სახლში ვცხოვრობ.

ქალიშვილმა შეხედა და გაიღიმა.

— გმადლობთ. ასეთ წვიმას სულ არ ველოდი, — ლაბადა გამოართვა და მხრებზე მოიხსნა.

— იცით, — თქვა კაცმა დარცხვენით, — რაკი ასე ასხამს, მალე არ გადაიღებს...

ქალიშვილმა გამოყო თავი ლაბადიდან, წამით შეავლო თვალი და მაშინვე სიცილით მიეკრა ხის სველ ტანს.

— თუ არ გეჩქარებთ, შინ შემობრძანდით.

და მოულოდნელად თანხმობა მიიღო, პარმალისაკენ გაიქცნენ, ქალიშვილმა სხარტად მოიძრო ლაბადა, გაბერტყა და ქვეშევეშ ისეთი მადლიერებითა და არაქალიშვილური ცნობისმოყვარეობით გამოხედა, რომ კაცს გული შეუქანდა.

სტუმარი ოთახში შეიყვანა. მთლად დაბნეულმა ბოდიშის მსგავსი ჩაიბუტბუტა და კარადის უჭრების ქვეშა დაიწყო.

— ახლავე რამეს ვიპოვი... გამოიცვლით...

— ოჰ, რას ამბობთ! გმადლობთ... განა თქვენს მეუღლეს შინ არ არის?

— ალბათ, მასაც თქვენსავით სადმე წვიმამ მოუსწრო, სუმრობის კილოზე თქვა მან.

ცოლი დილას ნათესავებთან წავიდა და გააფრთხილა, რომ შეიძლება სალამოსათვისაც არ დაბრუნებულიყო.

ოთახიდან გავიდა, პაპიროსი გააბოლოა და სცადა გახსენება: სად უნდა ჰყოლოდა ნახული ეს გოგო. სადღაც უნახავს, თუმცა სულ მოკლე ხნით, მაგრამ მინც უნახავს, თვალი მოუკრავს, აი, ეს სახე, ეს თმები...

— შეგძლიათ შემოხვიდეთ, ნებას ვაძლევთ!

მან გაიგონა ქალის ჩუმი სიცილი და ბედნიერად გაიღიმა.

ტანსაცმელგამოცვლილი, სწორად დეფარცნილ ქერათმიანი სტუმარი შუა ოთახში იღვა. კაცს რაღაც სილაღისა თუ სიხარულის ტალღამ გადაურბინა გულზე.

— თქვენ, ეტყობა, აქაური არ უნდა იყოთ.

— დიახ, შორიდან ჩამოვედი. თქვენ თუ შავი ზღვის პირას ცხოვრობთ, მე ბალტიის პირას დავიბადე და გავიწარდე.

კაცმა ისევ სწრაფად შეავლო თვალი. არა, არც ოდენმე უნახავს და არც შეხვედრია. და უცებ შემოფოთდა — რით შეუძლია გაართოს სტუმარი, სანამ ეს წვიმა გადაიღებს? დაუკრას რამე, თუ საუბრით შეიყოლიოს?.. „ჩემი ცოლი მართალია. ძალიან მოსაწყენი კაცი ვარ!“ — გაიფიქრა და მდუმარედ გააბოლოა.

— თქვენ, ეტყობა მუსიკა გიყვართ. პიანინო გაქვთ. მაგნიტოფონიც, — თქვა ქალიშვილმა.

კაცმა სიხარულით დაუქნია თავი, ჩართო თავისი ძველი „იაუზა“ და ჯაზის ხმამ იქაურობა ქუხილივით გააყრუა. მაგრამ ეს ის არ იყო, არა, სულაც

* ახარდანი ვაზის ჯიშია.

მტკვარი

მტკვარი, მტკვარი... აი, ისიც! ვესალმები შორიდან. ალამაზებს მტკვარს თბილისი, როგორც ფრინველს — ორი ფრთა.

ბორგავს, წუთით არ ისვენებს, მიდის, მიედინება. მღერის თითქმის კაცის ენით საქართველოს დიდებას.

ო, მე ველი საოცრებას გულუბრყვილო ბავშვივით — სადაც არის გამოჩნდება ლანდი ბარათაშვილის.

მტკვარს წინაშე მდგარა ტატო, ვით მლოცველი სიონთან... რაც ტკივილი მტკვარს გაანდო, საქართველოს ტკიოდა.

ბორგავს, წუთით არ ისვენებს, მიდის, მიედინება, მღერის თითქმის კაცის ენით საქართველოს დიდებას.


სწრაფი, ზოგჯერ ურჩი მეტად, ზოგჯერ ოდნავ დაღლილი, საქართველოს გულში ფეთქავს მისი მთავარ ძარღვივით.

თარგმნა ხუტბა ბაბუშამ.

იუნიკ

ერთი ოცნება ულამაზესი ჩემს ალალ გულში მარად ურიალებს, გარეუბრავს თუ შუალამეში ის ხანძარივით ამბარიალებს! ეს მინდა მხოლოდ, მე მინდა, ძმანო, ლექსს ვათქმევინო სამშობლოს ეშხი, და პოეზიის ნათელი წყარო რომ ჩუხჩუხებდეს ნიადაგ ჩემში; რომ ის არ იყოს ჩემთან სტუმარი, მეც გავხდე მისგან ნალერსალი, აკვნისპირიდან ნასათუთარი ჩემი ოცნება, აი, ეს არი! ყოველ ყვავილზე ულამაზესი ეს ფიჭვი მუდამ თავს დამტრიალებს, განთიადზე თუ შუალამეში მოვა და ცეცხლად ამბარიალებს...

თარგმნა ხუტბა ბაბუშამ.



ზღვის ნაპირი

მოლივლივე ზღვის ნაპირთან ვისხედით, ქროდა ტალღა სწრაფი. ნიავეარის ლამაზ ჩურჩულს ვისმენდით, დავცქეროდით ნაპირს. დავაწერე შენი კარგი სახელი ქვიშას — როგორც ფურცელს, მაგრამ ტალღა მეტისმეტად გახელდა და წაშალა უცებ. ზღვის სიმკაცრეს სამღურავი შევძახე, შეგეშინდა მაშინ... რად შეშინდი? კარგო, გულში შენს სახელს განა ტალღა წაშლის?!

* * *

ზღვას მონანავებს დასდებია ფერი ფოლადის, მთვარეა ოქროს ფარი. ზღვის გულში უცებ აკიაფდა შუქი ზომალდის და გაფერმკრთალდა მთვარე. ლამაზო, გირჩევ, ნუ გამოჭვავლ ღამით ნაპირთან, სადაც ქათქათებს ქაფი, თორემ შუქურა ეგონები გემის კაპიტანს, და მოაშურებს ნაპირს.

თარგმნა ვახტანგ ჯავახიშვილი.



არ იყო ეს ის, რაც ახლა გულს გაუხარდებოდა. გამორთო მაგნიტოფონი და მიმოიხედა.

— დაე იყოს, ნუ გამორთავთ.

მან უხერხულად რაღაც წაიბუტბუტა და ფირის გადახვევა დაიწყო.

...და მერე გვიან, სადამოს სიბნელეში ჭედა იგი ღია ფანჯარასთან და სულში საოცარ სიმშვიდეს გრძნობდა. ღიმილით იგონებდა თავის მოულოდნელ სტუმარს. ისხენებდა მის სახეს, მის ხმას... ვინ იცის, რამდენ ხანსა და რაზე აღარ საუბრობდნენ. საოცარი ინტერესითა და სიტყვის შეუწყვეტილებლად უსმენდნენ ერთმანეთს. რა კარგი იყო ყოველივე ეს. ისე საოცრად, ისე სწრაფად გაუშინაურდა, რომ თავის თავს ვეღარ სცნობდა! წასვლით კი ისე წავიდა, სახელიც ვერ გაიგო მისი... მაგიდას გადახედა: ბოლოით შავი ღვინო, გამოუცლელი სასმისი, თეფშზე დაწყობილი ხილი... ნუთუ ახლახანს ის აქ იყო, ერთად სვამდნენ, ხუმრობდნენ, იცინოდნენ... და როგორი უბრალო იყო ყოველივე ეს. როგორი ახლობელი... და სიჩუმეც კი, დროდადრო მათ შორის ჩამოვარდნილი სიჩუმეც რაღაცის მთქმელი და ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი იყო. სიხარულით აღსავსე, გაცხელები იქნებდა თავს: „ნუთუ, მაინც ხდება, რომ ერთ ადამიანს ბოლომდე ესმის მეორისა?“ შეატყო, რომ ქალიშვილიც თავს მშვენივრად გრძნობდა მასთან. მთელი გულით ისე მიენდო, რომ უცნობ სახლში შევიდა და სიამოვნებით დათანხმდა სველი ტანსაცმლის გამოცვლას, როცა ცოლის რომელიღაც კაბა შესთავაზა; დაჯდა სახელდაბელოდ გაშლილი სუფრასთან, ღვინოც დალია და ყველაფერი ეს ისე თავისუფლად. ისე უბრალოდ მოხდა, თითქოს ერთმანეთს ოდითგანვე იცნობდნენ. ქალიშვილს სხვანაირად რომ დაეპირა თავი, სიფრთხილე რომ დაეწყო, მაშინ იქნებ კაცს სტუმარში მხოლოდ ქალი დაენახა: რაც არ უნდა იყოს, ოთახში მარტო-

ნი იყვნენ, ზედაც ღვინო... მისგან ყველაფერზე ასე ადვილად მიღებული თანხმობა ძნელი არ იყო თავდაპირველად ბიწიერი მოსჩვენებოდა... და უცებ: — რა მშვენიერი, რა დიდებული მოულოდნელობა! ასე გულახდილად, ასე თავდავიწყებითა და გონებაშეხვედრად ჭერ არავისთან არ უსაუბრია. არც იმათთან, ვისთან ერთადაც მუშაობდა და სვამდა, არც მეგობართა წრეში და არც ქალთან, რომელთანაც ცხოვრობდა და გარკვევით არც კი იცოდა რა აკავშირებდა. რა არის ეს? — ფიქრობდა იგი და თავის წარმოსახვაში სჭვრეტდა: ქალიშვილმა ჭერ საათს როგორ შეავლო თვალი, მერე ფანჯარას, ბოლოს კი თავად მასპინძელს ისე შეხედა, თითქოს რაღაცის პატივას თხოულობსო.

— წასვლა გინდათ? ჰკითხა კაცმა.

სოკის ხესთან, სადაც ერთი საათის წინ ქალიშვილი წვიმას ემალებოდა, კაბუკი იდგა...

— თქვენი ბედნიერებისა და თქვენი გზის გამარჯვებისა იყოს!

ისინი მხიარულად და ძალიან უბრალოდ დაშორდნენ. ალბათ, სამუდამოდ. მაგრამ ჩამოართვა ხელი ორმა შემთხვევით შეხვედრილმა და ერთმანეთისათვის საჭირო ადამიანმა.

მან გააცილა ქალიშვილი და ფანჯარასთან დადგა.

კაცი სულ არ ნადვლობდა განშორების გამო — იყო ნამდვილად ყველაფერი ეს, თუ მოეჩვენა? და მან, შეცბუნებულმა გაიღიმა: „მაინც რა საოცარია, ვინ ვის როგორ და სად არ გადაეყრება. — შეხვედები ვინმეს, მისი სახელის გაგებასაც ვერ მოასწრებ, მაგრამ შენს ირგვლივ თითქოს მთელი ქვეყანა განათლავს... არა, ადამიანი მარტო არ არის!“

თარგმნა ლადო მრეაშვილი

„ივერია“ „საქართველო“

1886 წლიდან „ივერია“ (ამ დროიდან იგი ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა) სისტემატურად ბეჭდავდა ლეგენდებს, აფორიზმებს, ისტორიულ წერილებს, მოგზაურთა ჩანაწერებს და კორესპონდენციებს აფხაზეთის შესახებ. გაზეთს ჰქონდა სპეციალური განყოფილება „დამაკვირდი“, სადაც ბრძნული ხალხური ან წერილობით წყაროებიდან ამოღებული გამონათქვამები ქვეყნდებოდა. 1888 წლიდან „ივერია“ ბეჭდავს აფხაზურ ანდაზებსა და ბრძნულ ხალხურ თქმებს. აფხაზური ანდაზების გამოქვეყნება ისევე, როგორც „ნაკვესებისა“ და „დამაკვირდისა“, ილია ჭავჭავაძის თაოსნობა იყო. ამის შესახებ თვითონ ილია ჭავჭავაძე სწერს ილია ოქროშეილიძისთვის: „მე ამ წელს დავბეჭდე ოთხი წიგნი: „ბრძნული სიტყვა“, რომელიც უკვე მოგართვი, „ნაკვესები“ და „დამაკვირდი“, რომელთაც ამასთანავე გიგზავნი, და „ფშაური ლექსები“, რომელიც ამ დღეებში გამოვა და შენც მოგერთმევა“.

* * *

კეთილი ჰქენი, წყალს გაატანე, არ დაიკარგება.
კამეჩი მხალსა ჰხედავდა, ღობეს ვერა.
ქათმის შესაძლო კვერცხია.
კატის შვილი თავგს დაიჭერს.
ძროხის წიხლი ხბოს არ მოჰკლავს.
კატა ვერ შესწვდა საყველეს, ყველი მაინც დამპალიაო.
კარგი კაცი ვისაც შეეყრება, მას კაცის სულ ჩადგმება.
მთვრალ კაცს ხელის წაკვრა აღარ უნდა, თვითონაც დაეცემა.
კარგი ქალის ქმარს საგზალი არ უნდა.
ტკბილი ენის მქონე კრავმა დედაც მოსწოვა და არადედაც.
ბატონსა და ქალბატონს შორის უთანხმოება რომ ჩამოვარდა, მოახლე ქალს დაუმსუბუქდა.
მამის თხზით უფრო ბევრს მოვთახნიდიო.
გასვრილი ჯოხისა თავიც გაგსვრის და ბოლოც.
ცხენი მოკვდეს, მინდორი დარჩეს; კაცი მოკვდეს, სიტყვა დარჩეს.
თავი ხვრელში ვერა ძვრებოდა და მწარე კვახს კი უკან იბამდა.
შენს შინაურ ბრძივს სტუმრად ნუ გაჰგზავნი.
ძალი რომ გაწყდა, სანადიროდ მგელი გაჰყავდათო.
დაცინვა დამცინველს არ ასცდება.
დედაბერს შვიდი სოფელი (შვიდი სოფლის ფიქრი) აწუხებდა.
ხოლო იმისი დარდი — კი არავისა ჰქონდა.
ცხენი ხან ძალის ფასად ღირს, ხან ღორისად.
ქონდარი ვისაცა სძულდა, ცხვირში იმას ამოუვიდაო.
წყლის მახლობელმა ფონი იცის.
კურდღელმა სთქვა: ბინა მქონდეს, სამოვარს ვიმოვნდიო.


„ივერიაში“ დაბეჭდილი აფხაზური ანდაზების შემკრები და შესავალი წერილის ავტორი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს აფხაზური ენის შესანიშნავი მცოდნე, მწერალი და მთარგმნელი პეტრე ჭარაია. იმ წლებში იგი „ივერიის“ აქტიური თანამშრომელი იყო და პეტრე გიორგიძის ფსევდონიმით ბეჭდავდა საინტერესო წერილებს აფხაზეთზე. მის კალამს ეკუთვნის ეთნოგრაფიული ნაშრომი „აფხაზები და აფხაზნი“, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული მნიშვნელობა.

„ივერიაში“ აფხაზური ანდაზები გამოაქვეყნა აფხაზურ ენაზეც (ქართული შრიფტით) და იქვე დაურთო მისი თარგმანები ქართულ ენაზე. ქვემოთ ვაქვეყნებთ ერთ ნაწილს „ივერიის“ მიერ დაბეჭდილ ანდაზებიდან.

ალექსანდრე სიგუა

თუ გინდა მოყვარეს განეშორო, უნაგირის წინა კოპული სთხოვეო.
შენს წინ რომ ვინმე დაეცეს, ნუ გაგეცინება.
გარეული მამალი მოვიდა და შინაური მამალი გაავდოო.
ხე ფესვითა დგას, ადამიანი — მოყვრითა.
მთისა და ბარის ფოთლები, ერთმანეთს შეეყრებიანო.
ქვეყნის დაქვევის შიშით ჭიამ თვალეები დაითხარა, ქვეყანა არ დაიქცა, და თვითონ კი ბრძად დარჩა.
ბაყაყმა სთქვა: წყალი, რომელშიაც მე ვცხოვრობ, ყველაზე დიდი ჰქმნაო.
კარგსა და ავსა მოყვარეს ერთიმეორეს არ ანაცვლებენ.
ამპარტავანი ღმერთსაც სძულსო.
ცოცხალი და მკვდარი ერთმანეთს შეეტაკენ.
შემძლემ მამისა და მამის-მამის ალაპი გადაიხადა, შეუძლომ მამის ალაპიც ვერ გადაიხადა.
ვისაც ხარი არა ჰყვანდა, სახნავად მამალი გაჰყავდაო.
ვისაც შვილი არ მოჰკვდომია, შენს შვილზე ნუ ატირებ.
ბუმ თვალი რაკი იშოვა, „წარბი, წარბიო“.
ეშმაკმა როცა თავისი თივა მოთიბა, მერე ცეცხლი წაუქიდაო.
ცხენის კუდს რომ ხელი მოჰკიდო, წყალს გამოგიყვანს და ძალის კუდს რომ ხელი მოჰკიდო, წყალში ჩაგაგდებს.
გიდელს ბოლოზე ცეცხლი მოეკიდა და თვითონვე იცინოდაო.
შიში ეშმაკისაგან არის, ხოლო ვაჟკაცობა წინასწარმეტყველისაგან.
პატრონი ჰყიდიდა, მაგრამ მეჯინებე არა შვრებოდა.
მთიდან ჩამოსვლის დროზე ცხენს ნუ იყიდი.





მარცხნიდან მარჯვნივ — ი. თარბა, გრ. აბაშიძე, გ. მარკოვი, მ. ზვანცია, მ. ხაშბა, მ. გვასალია, კ. ლომია და ი. პაპასკირი.

გასოსსლავური უღაპარი

ექსპრესმა სვლა შეანელა, გამოჩნდა დღის შუა-ქით განათებული ბაქანი.

— მიველით, — აცხადებს შუახნის კაცი, რომელსაც ექსპრესანტები წამოუყვანია, — აქედან იწყება მიწისქვეშა დარბაზები.

ექსპრესანტები ტოვებენ ელექტრომატარებელს და მღვიმის შესასვლელისაკენ შემართებიან. გამოქვაბული „აფხაზეთი“ დამთვალეობს გზას უხსნის საოცრებათა სამყაროსაკენ.

...ნაირფერად აფერადებული კირქვისა და კალციტის პირამიდები, კონუსები, წახნაგოვანი ლოდები, უცნაურად დაღარულ-მოჩუქურთმებული კედლები. რაც უფრო წინ მიიწევი, უფრო და უფრო მომადიდებელი სახილველია ქვესკნელი — გიგანტური სტალაქტიტები და სტალაგმიტები, პელიტიტები, კირქვის ფანტასტიკური ფარდები, მღვიმის ფსკერზე მუქლურად მოლივლივე ტბა. სადღაც ყრულ ხმაურებს მიწისქვეშა ჩანჩქერი...

რა არის ეს? ამირანისა თუ მზეჭაბუკის ჯადოსნური სამყარო? ისეთი შვერძნება გაქვს კაცს, თითქოს აი, საცაა შეირხვიან ქერიდან ჩამოშვებული გაქვავებული ქათამთა ფარდები და გამოიღვიძებს მძინარე მზეთუნახავი. გამოჩნდებიან ოქროსთმიანი ფერიები, კუდიანი დედაბრები, ცხრათავიანი დევები, უჩინელი ხომ არ ისკუბებს იმ ლოდებიდან?

აქ შევიჩერდეთ. საუქუნეების განმავლობაში აჩუქურთმებდა ბუნება თავისი უხილავი საკრთლით ამ სვეტებსა და თალებს, წვეთი წვეთზე იღვენებოდა და ერთმანეთისაკენ მიიწევდნენ სტალაქტიტები და სტალაგმიტები. მიწისქვეშა წყლები რეტხავდა და აპირკეთებდა ახალი ათონის ივერიის მთის ქვეშ მდებარე მღვიმეებს.

აფხაზები თაობიდან თაობას გადასცემდნენ ლეგენდებს მიწისქვეშა სასახლეებსა და მის განძზე, მოჯადობებულ მზეთუნახავებსა და უფლისწულებზე, ქვესკნელის პირქვეშ დარბაზებზე.

და აი, ლეგენდა თითქმის სინამდვილედ იქცა — 1961 წელს ადგილობრივმა პატარა ბიჭუნამ გივი სმირმა ივერიის მთებზე პირველმა მიაგნო გამოქვაბულში ჩასასვლელ ხერხს ე. წ. „სპირალი-სებურ ძაბრს“ და უფსკრულში ჩაშვება სცადა.

ამავე წელს გამოქვაბულებით დაინტერესდნენ მეცნიერები. ახალი ათონის მღვიმეთა სისტემა პირველად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგიურმა ექსპედიციამ შეისწავლა.

გამჭვირვალე კალციტის გამოქვაბულები თავმოყრილია კილომეტრზე მეტი სიგრძის ადგილზე. ცხრა დარბაზიდან თითოეულს თავისი განუყოფელი სახე აქვს. იმთავითვე დაისვა საკითხი, რათა ეს უნიკალური სანახაობა მშრომელთათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო. სულ მალე „საქქალაქმშენის“ სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტს დაევალა ათონის მიწისქვეშეთის ათვისება, მისი კეთილმოწყობის პროექტის შემუშავება (პროექტის ავტორი რუდოლფ რიჟინაშვილი).

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ხორცშესხმა თბილგვირაბმშენის სამმართველოს კოლექტივმა იკისრა. ერთობ რთულ ჰიდროგეოლოგიურ პირობებში უხდებოდა გვირაბის მშენებლობა უზნის კოლექტივს.

აი რას მოგვიტხოვს სამშენებლო ორგანიზაციის უფროსი გაიოზ ჯაყელი:

— ათასსამასი მეტრის სიგრძის გვირაბის მშენებლობა კარგა ხანია დავამთავრეთ. დასასრულს უახლოვდება ორსართულიანი ადმინისტრაციული სახლის აგება. გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს მიწისქვეშა დარბაზების კეთილმოწყობა. მღვიმეებში გაგვყავს ბეტონის ბილიკები. ჩვენ მიზანია დარბაზები დაგვიტოვოთ მათი ბუნებრივი სახით. ამიტომ ვცდილობთ ნიადაგი არ მოვასწოროთ, რაც შეიძლება მომალლო ადგილებზე გავიყვანოთ ბილიკები, დამთვალეობები ასე უკეთ

შევიგრძნობს ბუნების წარმონაქმნთა სიდიადეს. ამასთან ვაშენებთ ხიდებსა და დასათვალეობებელ მოედნებს რკინის მოაჯირებით, უნდა მოვაწყუოთ შენიღბული ელექტროგაყვანილობა, რადიოკვანძები, მიმდინარეობს აგრეთვე გარე კომუნიკაციების გაყვანა, დასაყენებელია მღვიმეების გასანიავებელი დანადგარები. ამგვარად, საქმე ჯერ კიდევ ბევრია. გადაწყვეტილი გვაქვს ყოველგვარი სამუშაოები მომავალი წლის ბოლოსათვის დავამთავროთ.

წერილის დასაწყისში ჩვენ ცოტათი წინ გავუსწართ დროს. იქ ლაპარაკი იყო იმაზე, თუ როგორ იქნება ათონის ივერიის მთის მიწისქვეშა დარბაზები ამ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ.

საბჭოთა კავშირში გამოქვაბულების კეთილმოწყობა პირველად ხდება და ბუნებრივია, ბევრს აინტერესებს მისი ხილვა.

...ნაკადულების ჩუხჩუხი და წვეთების წკაპუნი რაღაც იღუმალებით ავსებს მიწისქვეშეთს. მშენებლების შეძახილებსა და ჩარბების ხმაურს გუგუნით ეხმაურებიან მღვიმეების თაღები... მივყვებით ახალდაგებულ ბილიკს. აი „ქართველ სპელეოლოგთა“ დარბაზი, ყველაზე დიდი და გრანდიოზული. იგი ორ ნაწილად არის გაყოფილი — ერთი თიხოვანია, მეორე კი კრისტალური. ვეებერთელა თეთრი სტალაქტიტი ეშვება მალლიდან და იგი გაქვავებულ ჩანჩქერს ჰგავს, რომელიც თითქოს ალაღინის ჯადოსნური ლამპრის შუქს ელოდება, რათა მეცხვეულად გაცოცხლდეს და ქუჩილით ჩაეშვას უფსკრულში. ესეც „ტაძარი“, 7მ მეტრის სიმაღლიდან დაგვიუჩუბნენ მისი თაღები — იგი ყველაზე გრანდიოზულ მიწისქვეშა დარბაზად არის აღიარებული მსოფლიოში. „სოხუმი“, „ივერია“, „პელიტიტები“, „თბილისი“... სტალაქტიტ-სტალაგმიტური წარმონაქმნარი, კირქვის ვეებერთელა ლოდები, უცნაურად დანაოჭებული კედლების შრებები, კირქვის ფორებიანი ფარდები და თვალშეუდგამი კოლონადები თეთრ-ცისფერი ფერებით არის შეზავებული. ავღრის პერიოდში მიწისქვეშა წყლები ადიდებდას იწყებენ. საარაკო სანახავია მამინ აქაურობა. მანამდე ამომშრალ ხევებსა და კალაბოში მოქუხს აქაუბელი მდინარეები და სადღაც უფსკრულში უჩინარდებიან. ხანდახან კი მღვიმეებიც იტბორება.

ანერი კობიძე



აკაკელიის ფსახი სტუდენტები

განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე თბილისის სამხატვრო აკადემიამ სახვითი ხელოვნების არაერთი თვალსაჩინო ოსტატი აღუზარდა მოძმე აფხაზ ხალხს. აქ კიდევ ერთხელ იჩინა თავი იმ სახელოვანმა ოსტატებმა ტრადიციამ, რომელიც დამკვიდრდა და ღრმა ფესვები გაიდგა საუკუნეთა მანძილზე ქართველი და აფხაზი ხალხების განუყოფელი, ერთად ცხოვრებისა, ერთად შრომისა და ბრძოლის, სამარადისო ძმობის საფუძველზე.

მართო ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში 70 აფხაზმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სხვადასხვა დარგი; მრავალმა მათგანმა თავისი ქმნილებებით ჩვენი ხალხის დიდი სიყვარული და მოწონება დაიმსახურა.

სამხატვრო აკადემიაში აღზრდილ არაერთ აფხაზ შემოქმედს მიენიჭა საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის საპატიო წოდება. ფერწერისა და გრაფიკის აფხაზი ოსტატები წარმატებით მონაწილეობენ როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო და მსოფლიო გამოფენებზე.

მართო გასულ სასწავლო წელს თბილისის სამხატვრო აკადემია წარჩინებით დაამთავრა შეიძლება აფხაზმა, მათ შორის ბ. წვიშბამ, გ. ჭითანავამ, ი. აგრაბამ და სხვ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო დიდ მწრუნელობას იჩენს, რათა მოძმე აფხაზ ხალხს აღუზარდოს მძალაძველი ფიციური ოსტატები, როგორც მუსიკალური, ისე თეატრალური და სახვითი ხელოვნების დარგებში. ამ მიზნით სამინისტრო ყოველწლიურად საჭირო რაოდენობით გამოუყოფს ადგილებს აფხაზ ახალგაზრდობას. ამ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანმა ღონისძიებამ დიდად შეუწყო ხელი აფხაზი ახალგაზრდობის ლტოლვას სახვითი ხელოვნებისადმი.

1971 წელს, აკადემიის კურსდამთავრებულთა შორის განსაკუთრებით გამოიჩინა გ. ჭითანავა. იგი სოხუმიდან იყო მოვლინებული არქიტექტურის ფაკულტეტზე; გამოცდების დროს მან შესანიშნავი ცოდნა და საქმისადმი სიყვარული გამოავლინა — გამოცდელთა წინაშე წარადგინა საკუთარი ალბომი, სახეს ქართული მატერიალური

კულტურის ძეგლების ჩანახატებითა და ჩანახატებით. აქ მოყვანილი იყო მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლები — ბოლნისის სიონის, ჯვარის, სვეტიცხოველის, სამთავროს, ბაგრატის ტაძრის, ბიჭვინთის ძეგლების გეგმები და ქრილები. აკადემიაში ჭითანავა მუდამ მოწინავეთა შორის იყო და უაღრესად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა აკადემიის სტუდენტთა სამეცნიერო წრეში. მან წარჩინებით დაიცვა თავისი სადიპლომო შრომა, მისი პროექტი გამოიჩინა ანსამბლური კომპოზიციის ლაქონიერობით, გრაფიკული შესრულების მაღალი კულტურით, რთული კონსტრუქციული ელემენტების საინჟინერო გაანგარიშებით, მუშა ნახაზების ტიპური კვანძების გამოხატვით. ეს მიღწევები ჯერჯერობით შეაფასა საატესტაციო კომისიამ და მას ფრიალი დაუწერა, მიანიჭა ხუროთმოძღვრის წოდება, და ეს ერთეული მაგალითი როდია!

ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების, არქიტექტურის, კერამიკის, მოდელების, ქსოვილების მხატვრული დამუშავების, ინტერიერის და ხელოვნებათმცოდნეობის კათედრებზე სწავლობს 18 აფხაზი ახალგაზრდა; მათ შორის გ. ლაქომა (ქანდაკების ფაკულტეტის III კურსი; კათედრის გამგე — პროფესორი ვ. თოფურაძე); ა. ძიძარია (ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის III კურსი; კათედრის გამგე — პროფესორი ლ. რჩელიშვილი), ლ. კაცია (არქიტექტურის II კურსი, კათედრის გამგე — დოცენტი მ. ჩხიკვაძე), თ. ლაკერბაია. პ. შხვაცაბაია (არქიტექტურის III კურსი), ბ. ტყეშელაშვილი (კერამიკის I კურსი), ვ. ხურხუმალი (კერამიკის II კურსი), რ. აქირთავა (კერამიკის III კურსი), გ. კორსანტია (კერამიკის IV კურსი. კათედრის გამგე — პროფესორი გ. ქართველიშვილი), რ. მეშველიანი (მოდელების I კურსი, კათედრის გამგე — ირ. ყიფშიძე), ვ. ნარმანია (ქსოვილები, I კურსი, კათედრის გამგე — პროფესორი ნ. ცაგარელი); ვ. ბავათიანი (ქსოვილები, I კურსი), ვ. აღმუნა (ქსოვილები, II კურსი), რ. კაცია (ქსოვილები, V კურსი), ი. ჩიჩბა (ნაწარმის განყოფილება, I კურსი. კათედრის გამგე დოცენტი ვ. ხმეშიაშვილი); მ. აიბა (ავიჯის განყ. III

კურსი), ბ. კოსტავა (ინტერიერის I კურსი, კათედრის გამგე ს. ბაქრაძე) ი. ცომაია (ინტერიერის III კურსი).

როგორც აკადემიის რექტორი, ისე პროფესორ-მასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ მოძმე ხალხთა წარმომადგენლებს, მათ შორის აფხაზ ახალგაზრდობას.

აფხაზი დიპლომანტი სტუდენტების ნაშრომები აშუქებს ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრულ ურთიერთობას, აფხაზეთის თვალწარმატებულ პეიზაჟებს, აფხაზი ხალხის ტრადიციებს და კომუნისტური მშენებელი ადამიანების ყოფა-ცხოვრებას. მათი სადიპლომო ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია კომპოზიციის ორიგინალობა, თემის აქტუალობა, მაღალი მხატვრული შესრულება.

კურსდამთავრებული აფხაზი მხატვრები არ სწყვეტენ სამხატვრო აკადემიასთან შემოქმედებით კავშირს. ისინი ხშირად ესტუმრებიან ხოლმე თავის აღმზრდელ კერას. აფხაზეთის აკადემიის საექსპოზიციო დარბაზებს, აქ გამოფენილ სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ნამუშევრებსაც. ყოველივე ეს ამდღებს ახალგაზრდა აფხაზი მხატვრების პროფესიულ კულტურას.


დაუცხრომელი შემოქმედებითი ძიება, საქმისადმი სიყვარული და დაინტერესება, შთამაგონებელი ეროვნული კოლორიტი — აი რა ახასიათებს აფხაზი ახალგაზრდობის ნამუშევრებს. ამიტომაც ისინი მუდამ იმსახურებენ უმაღლესი საკვალიფიკაციო კომისიის მაღალ შეფასებას.

აფხაზეთის ასსრ 50 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორს, სსრ კავშირის სახალხო მხატვარს, პროფესორ ა. ქუთათელაძეს ახალგაზრდა აფხაზი მხატვრების აღზრდისა და მომზადებისათვის, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება; ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს იმ ამაზე, რაც აკადემიამ დასდო აფხაზი ახალგაზრდობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

ნიმონ ნაციაშვილი


აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.





ვ. გამგია. ლინოგრაფიურა სერიიდან „აფხაზეთი“.

„ღროზის“ ამ ნომრის ჩანართის
 ოთხივე გვერდზე წარმოდგენილია
 აფხაზეთის სახვითი ხელოვნების
 ოსტატთა ფერწერული და გრაფიკუ-
 ლი ნაწარმოებების რეპროდუქციები.



პ. ცქვიტარია. ნავსადგურში.

ვ. გამგია. ლინოგრაფიურა სერიიდან „აფხაზეთი“





მ. გაბუღია. ბიჭუნა



პ. კელია. ნატურომორტი.



ზ. ავიძბა. სოხუმის კუთხე.

ს. გაბელია. „ქერაზი“.




ს. გაბელია. ასწლიანები.



ო. ბრენდელი. შემოდგომის ქერაჯი


ო. ბრენდელი. ბიჭინო.



ვ. მესხი
მთელი გოგონა.



პ. ცქვიტარია,
მემონტაჟები.



უმცროსი კლასების მოსწავლემ ასე რომ უბასუხოს მასწავლებელს, ცხადია, ორიანს მიიღებს. მაგრამ ისტორია ხანდახან გეოგრაფიაშიც შეიტანს ხოლმე თავის კორექტივს. არის ერთი პატარა ესტონეთი ბალტიის ზღვიდან ძალიან შორს, შავი ზღვის სანაპიროზეც.

გასული საუკუნის 80-იან წლებში აფხაზეთში, გულრიფშის რაიონში რაღაც უცნაური იერის ხალხი გამოჩნდა. არავინ იცოდა, თუ ვინ იყვნენ და საიდან მოვიდნენ ისინი. ისე არ ეცვათ, როგორც აჭარებს და თანაც ყველასათვის გაუგებარ ენაზე საუბრობდნენ.

როგორც გამოირკვა, ეს ხალხი თურმე ბალტიისპირეთიდან იყვნენ გამოხიზნულები. იმ ხანებში ესტონეთში მოუსავლიანი წლები იყო. ღარიბ-ღატაკი და დაბეჩავებული გლეხობის ერთი ნაწილი იძულებული გახდა აყრილიყო თავისი მიწიდან. ერთი ჭგუფი სამხრეთისაკენ წამოვიდა, რის ვიავგალახით გადმოლახა გრძელი გზა და აფხაზეთში ჩამოაღწია.



ესტონელი სტუმრები აფხაზეთში.

ესტონეთი შავი ზღვის სანაპიროზე

გულდია და სტუმართმოყვარე აფხაზებმა ძმურად გაუწოდეს ხელი ღვთის ანაბარად დარჩენილ ესტონელებს. გადმოხვეწილ ხიზნებს ზოგმა ნაჯახი აჩუქა, ზოგმა ბარი, ზოგმა რა და ზოგმა რა. მალე შრომისმოყვარე და გამრჩე ესტონელებმა პატარა ღარიბული სახლები ააშენეს და კერა გააჩადეს.

ასე დაიბადა აფხაზეთში პატარა ესტონური სოფელი, რომელიც თანდათან გაიზარდა, მხრებში გაიშალა, მომაგრდა და დღეს ერთ-ერთ ეკონომიურად მძლავრ და მოწინავე სასოფლო-სამეურნეო არტელად იქცა.

ეს სოფელი, რომელსაც ახლა „ესტონკა“ ანუ „ესტონურა“ ჰქვია, საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის ნათელი მაგალითია. აქ ერთმანეთის მხარდამხარ შრომობენ ქართველები, აფხაზები, ესტონელები, რუსები, უკრაინელები, სომხები, ბელორუსები...

პირველი, რაც სოფელში შესვლისთანავე მოგხვდებათ თვალში, ეს არის ყვავილებისადმი უზომო სიყვარული. ნაირფერად ყვავილებს მოუქარავთ ეზოები, ვაზონები, სკვერები, აივნები. კოლმეურნეობის კანტორის მწვანეში ჩაფლული ეზოც ყვავილებით არის მოქარავული.

შეფიქვართ კანტორაში. იქვე, პირველ სართულზე, კედელზე რამდენიმე სტენდია გაკრული. ერთი სტენდი მთლიანად წარსული ცხოვრების ამსახველ სურათებსა აქვს დათმობილი.

აი აფხაზეთში ჩამოსული პირველი ესტონელი ხიზნები. ფოტოსურათიდან სასოწარკვეთილი, მოღუშული სახეები იმზირებიან. ფოტოები ამ სოფლის მძიმე და დუბჭირ წარსულზე მოგვითხრობენ.

ამ რამდენიმე წლის წინ აფხაზეთში შორეულ ბალტიისპირეთიდან ისევ ჩამოვიდნენ ესტონელები. არა, რა თქმა უნდა, ეს ადამიანები ხიზნები არ იყვნენ. ისინი ესტონეთის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ წარმოგზავნა სოფელ ესტონკის დაარსების ოთხმოცი წლისთავის იუბილეში მონაწილეობის მისაღებად.

სტუმრები რამდენიმე დღე დარჩნენ აფხაზეთში,

დაათვალიერეს კოლმეურნეობის ფერმები, კულტურის სახლი, მუსიკალური სკოლა, კოლმეურნეთა დასასვენებელი სახლი, საბავშვო ბაღი. დაესწრნენ დრამატული, სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლების კონცერტებს.

ესტონელი სტუმრები აღტაცებით ათვალიერებდნენ ფართო და მწვანეში ჩაფლულ ლამაზ ქუჩებს, მაღაზიებს, კოხტა, ორსართულიან საცხოვრებელ სახლებს.

ჩამოსულ სტუმრებზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მაინც საგულდაგულოდ მოვლილმა ჩაისა და თამბაქოს, ციტრუსებისა და ეთერზეთოვანი კულტურების ნარგავებმა დასტოვა.

სტუმრების თვალს არც ის გამოჰბარვია, რომ საერთო მიღწევების ფონზე, კოლმეურნეობაში მეცხოველეობა, ცოტა არ იყოს, მოიკოჭლებდა. ბალტიისპირელებმა გადაწყვიტეს დახმარება გაეწიათ შავიზღვისპირელი თანამომემებისათვის. მალე სიტყვა საქმედ იქცა. ესტონელებმა თავიანთ მეგობრებს გამოუგზავნეს სილოსის ასადები უნივერსალური მანქანა, უახლოეს ხანში ისინი ესტონკაში გამოგზავნიან უნივერსალურ სათიბებსა და თივის საპრეს მანქანებს. კოლმეურნეობაში განსაკუთრებული ინტერესით ელიან ესტონელ სპეციალისტების მიერ შექმნილ ე. წ. ქვების ამკრეფ მანქანას; ეს მანქანა არა მარტო მიწის ზედაპირიდან, არამედ ნიადაგის სახნავ ფენიდანაც აგროვებს ქვებს, მრავალ მუშახელს ანთავისუფლებს და სასარგებლო ნაკვეთებად აქცევს გამოუსადეგარ ფართობებს.

არც აფხაზეთის ესტონელები რჩებიან ვალში თავიანთ მეგობრებს. მათ გადაწყვიტეს აქვთ უახლოეს ხანში ესტონეთში ციტრუსების ნერგები გაგზავნონ და ორანჟერების მოწყობაში დაეხმარონ მათ.

შარშან ესტონელმა კოლმეურნეებმა მთელ რაიონში პირველებმა შეასრულეს თამბაქოს ჩაბარების გეგმა და სახელმწიფოს 50 ტონა ხარისხოვანი ნედლეულის ნაცვლად 89 ტონა მიჰყიდეს. ასევე

წარმატებით იქნა შესრულებული სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გეგმები.

სოფელ ესტონკის კოლმეურნეობას სათავეში უდგას ჰეკიანი და გამრჩე ახალგაზრდა კაცი — რევაზ სიჭინავა. მან 1968 წელს დაამთავრა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტი. ერთხანს აგრონომად მუშაობდა, მერე პარტიის რაიკომში ინსტრუქტორად გადაიყვანეს. ეს მეორე წელია რაც ესტონკის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობს.

— გადაწყვეტილი გვაქვს ახალი მიწები ავითვისოთ, — ამბობს რევაზი, — ეს უმთავრესად, ჭაობების ამოშრობის ხარჯზე მოხდება. ახალ ხუთწლედში კოლმეურნეობას 60 ჰექტარი მიწა შეემატება. ფართოდ დაუნერგავთ თესილობებს. მეცხოველეობისათვის შევქმნით მტკიცე საკვებ ბაზას. სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ზრდა უმთავრესად სამექტარო მოსავლიანობის ზრდის ხარჯზე მოხდება. კოლმეურნეებმა მოსავლიანობის გასადიდებლად, დიდი ყურადღება დაუთმეს ჩაის ბუჩქების ნორმალურ ზრდას, მის გაფორმებასა და დატვირთვას. მოისპო პლანტაციების სიმჩჩხერე, ბუჩქების არათანაბარი განვითარება; უახლოეს ხანში კოლმეურნეობის ყველა პლანტაცია ერთი სიმაღლის და ნორმალურად განვითარებული იქნება და გაცილებით მეტ მოსავალს მოგვცემს.

ორ-სამ წელიწადში კოლმეურნეობაში ჩაის კრეფა მთლიანად მექანიზებული წესით იწარმოებს, რაც კოლმეურნეობას საშუალებას მისცემს განთავისუფლებული მუშახელი მეურნეობის სხვა დარგებში გამოიყენოს.

ხუთწლედის მეორე წლის შეტევა გრძელდება. ესტონელი კოლმეურნეები, ისევე როგორც მთელი აფხაზეთის მშრომელები, მთელი საბჭოთა ხალხი ახალი ენერჯითა და მოსდომებით ეკიდებიან საქმეს, რათა წარმატებით განახორციელონ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანები.

გ. ხაჩუაშვილი

ანისის ბაიბრობის ისტორიიდან

კაკი შანიძე

ანისი სომხეთის დედაქალაქთაგანი იყო. შირაკის ბაგრატიონთა მეფეთა ტახტმა აქ გადაინაცვლა 961 წელს, მაგრამ ერთი საუკუნეც არ დასცალდა ამ მათ დროს კარგად მოხუცებულ ქალაქში, რომელიც ძველად ძლიერ კამხარაკანთა გვარის სამფლობელო იყო. გარეშე მტრების მოწოდებამ თავისი ქნა, ამას დაემატა შინაური უშლილობა და ბერძენებმა ადვილად ჩაიგდეს იგი ხელში 1046 წ. ქალაქის კლიტები¹ ვერდოს კათალიკოსმა ჩააბარა ბიზანტიის საციხისროს სტრატეგოსსაო. ამბობს ისტორიკოსი². მაგრამ ბერძენებსაც არ დასცალდათ და სულ მალე, 1064 წელს, იგი საღრუჟთა სულთანმა ალფ-არსლანმა დაიპყრო.

ანისის ისტორია XII—XIII საუკუნეებში მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს ისტორიასთან. როგორც „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, დავით დიდს, აღმშენებლად წოდებულს, თბილისის აღებისა და შირაკის შემოერთების შემდეგ, 1124 წ. აგვისტოში თხოვნის წიგნი მოართვეს ანისის თავადებმა: გვიხსენით მუსულმანთაგან, ჩიხარეთ ჩვენი ქალაქიო. დავითმა გაილაშქრა და „ვითარცა მიიწია, მესამესა დღესა აღიღო ანისი და ციხენი მისნი უპირველად და სოფენი და ქუეყანანი მიმდგომნი ანისისანი“. დავითმა დაატყვევა ქალაქის ამირა ახულ სუვარი „რვათა ძეთა და მხევალთა და სძალთა მისთა თანა და ჩაგზავნა აფხაზეთად. ანისის მცველად დაუტევნა აზნაურნი მესხნი და წარმოვიდა ქართლად“ (ქ. ცხ. I, 845).

დავით დიდის მემკვიდრის დემეტრე I-ის მეფობის დროს (1125-1150) თურქებს არ დაუტოვია ცდა, რომ ანისი დაებრუნებინათ და დემეტრემ არჩია, რომ იგი მამამდიანი მმართველისათვის დაეთმო, ოღონდ უმად ნაფიცობის პირობით (საქ. ისტ. I. 1958, 187).

ტბეთის XII საუკუნის სახარების მინაწერში მოთხრობილია, რომ დემეტრე მეფის მემკვიდრეს, გიორგი III-ს, მისი მეფობის მეხუთე წელს (1161) ისევ მოუხდა ანისზე გალაშქრება და მისი აღება. ამ ჭრად გიორგი მეფემ მოშალა მამამდიანთა მმართველობა, ანისი ივანე ორბელს ჩააბარა და თანაშემწეად სარგის მხარგრძელი დაუნიშნა (ქ. ცხ. I, 189).

კარგად ცნობილია, რომ 1218 წელს ანისს სასწრაფოდ გაემგზავრა საქართველოს ეკლესიის მეთაური, ეტიფანე (ეპიფანე) კათალიკოზი, რომელსაც ეკლესიები უნდა ეურთხებინა და მშვიდობა ჩამოეგდო ანისის მართლმადიდებელთა ეკლესიის სამდგელოებასა და უკმაყოფილო მრევლს შორის, რომელიც დიდი გადასახადების გამო შფოთავდა. ეს ამბავი მოთხრობილია ანისის 1218 წლის ქართულ წარწერაში, რომელიც მშვენიერი ისტორიული დოკუმენტია და რომელიც ჭერ ნ. მარმა გამოსცა³ და შემდეგ — ვარლამ დონდუაშვილმა⁴.

ანისმა მონღოლთა დაპყრობაც იგემა (1228), მერმე ოსმალთა ბატონობაც და XVII საუკუნეში გაუკაცრიელდა, ხოლო რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, 1878 წელს რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოექცა უპარსიოთურთ.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ანისი ოსმალეთის მემკვიდრეს უპყრია, თურქეთს. დღევანდელი სომხეთის სსრ-ისაგან მას ჰყოფს მდ. ახურიანი (არფა-ჩაი).

ანისი ჩრდილოეთიდან სამხრეთით წაგრძელებული და თანდათან უსწორ-მასწორად შევიწროებული ნახევარკუნძულია, რომელსაც სამხრეთ-აღმოსავლეთით ახურიანი (თურქულად არფა-ჩაი) ჩაუდის, დასავლეთით — ანისის-ხევი (თურქულად ალაჭა-ჩაი). ჩრდილოეთიდან ამ ზეგანს ავღია ზღუდვი, რომელსაც რამდენიმე შესავალი კარი აქვს. ერთ მათგანზე ქადრაკის დაუა არის გამოყვანილი ფერადი ქვებით. ხეებში, მალა აზიდულ კლდეებში, ახურიანის მარჯვენა მხარეს, ხოლო ანისისწყლის გაღმა-გამოდმა (და სხვაგანაც) გამოკვეთილია ქვაბები, რომელსაც XI—XIV საუკუნეებით ათარიღებენ.

ანისი ამჟამად კარგად ცნობილია მრავალი ავტორის ნაშრომებით და ანგარიშებით გათხრების შესახებ.

პირველ მსოფლიო ომამდე ანისი მცხოვრებთაგან მიტოვებული ციხე-ქალაქი იყო, რის გამოც იგი მშვენიერ ობიექტს წარმოადგენდა არქეოლოგიური გათხრებისთვის, რომელთა წარმოება თავს იღვა ნ. მარმა. იგი ანისს გასათხ-

რელად პირველად 1898 წელს ეწვია, შემდეგ — 1898 წელს, ხოლო 1904 წლიდან უოველწლივ სისტემებრ თხრიდა 1917 წლამდის და სისტემებრვე აქვეყნებდა ანგარიშებს გათხრების შესახებ. არქეოლოგიური სამუშაოებისთვის იგი თავის ირგვლივ იკრებდა მოწაფეებს და სხვა სპეციალისტებს და მათ გარკვეულ დავალებას აძლევდა.

ნ. მარის მიწვევით ანისის გათხრებში მონაწილეობა მიუღიათ იოსებ ორბელს, გიორგი ჩუბინაშვილს, ვუკოლ ბერიძეს, ევსევი მიქელაძეს, აშხარბეკ ქალანთარს, გრიგოლ ლაფანციანს, დავით ყიფშიძეს, ნ. ტოკარსკის, ფოტოგრაფ ვრუირს, მხატვარ ს. პოლტორაკის, მხატვარ ა. ანდრიანოვს და სხვებს. მეც, 1914 წლის აგვისტოში ეჩმიადინში სამეცნიერო მიზნით მივღენილმა, მაგრამ კოლონიისაგან დაკენილმა და მალარიისაგან შეპყრობილმა გამოვიარე ანისში, მაგრამ იქ ვერ დავრჩი, და დასასვენებლად და მოსარჩენად წამოვიდვი ალექსანდროპოლის (გუმბრს), სადაც, გამოვრჩი თუ არა, ახალი სომხურის შესწავლას მოვიკიდე ხელი.

ერთი არქეოლოგიური კამპანიის დროს, 1915 წელს, ნ. მარმა ანისის არქეოლოგიურ სამუშაოებში ჩააბა პეტროგრაფის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის პრივატ-დოცენტის იოსებ ყიფშიძის უმცროსი ძმა და ჩემი ამხანაგი დავით ყიფშიძე, რომელსაც ამ დროს უკვე ამ ფაკულტეტზე კურსის დამთავრებული ჰქონდა. მას დავავალა, აღენუსხა და აეწერა ანისის ქვაბები, რომლებიც უამრავია. დ. ყიფშიძე დიდი მონდობით შეუდგა ანისის ქვაბოვანთა აღწერას. შემდეგ მისმა ხელმძღვანელმა საქიროდ სცნო, რომ ანისის ქვაბთა აღწერას დართოდა ვარძიის ქვაბთა აღწერაც. ამ მიზნით დ. ყიფშიძე მიავლინა ვარძიას და თან გააყოლა ფოტოგრაფიც, ხოლო ანისის ქვაბთა შესწავლის განგრძობა და დამთავრება დაავალა ნ. ტოკარსკის, რომელიც მაშინ პეტროგრაფის სამოქალაქო ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტი იყო.

ანისის შეუნელებელმა და ფართო მასშტაბით წარმოებულმა გათხრებმა იმდენი საინტერესო არქეოლოგიური მასალა გამოჩინა, რომ ნ. მარის ფიქრობდა, დაეარსებინა თბილისში ანისის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი, რომელიც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებული დაწესებულება უნდა ყოფილიყო. სათანადო მოხსენებით რომ წარუდგა იგი განათლების მინისტრს კახოს, მას უკეთხავეს: რატომ ანისისა და არა კავკასიისაო? საქმის ასეთი შებრუნება ნ. მარს ჰკუაში დაუჭდა და მაშინვე დასთანხმდა მინისტრის შესწორებას.

კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის წესდება დამტკიცდა 1917 წლის ივლისში. ინსტიტუტის ადგილ-სამყოფელი იყო თბილისი, დირექტორად და საერთო ხელმძღვანელად აკად. ნ. მარის დამტკიცეს, ხოლო მის მოადგილედ ითვლებოდა ე. თაყაიშვილი. ინსტიტუტს მუშაობა უნდა დაეწყო 1917 წლის შემოდგომიდან.

ინსტიტუტის პირად შემადგენლობაში, აკადემიკოს-დირექტორს გარდა, იყო ოთხი პირი, რომელთაგანაც ორი იყო ნამდვილი წევრი და ორი — ადიუნქტი. ნამდვილი წევრები იყვნენ ე. თაყაიშვილი და გ. ჩუბინაშვილი, ხოლო ადიუნქტები — დ. გორდევოვი და ს. ტიგრანაიცი. ამას გარდა, ინსტიტუტს ჰყავდა მდივანი და ფოტოგრაფი. აკადემიკოს-დირექტორი, ნამდვილი წევრები და ადიუნქტები შეადგენდნენ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს.

ანისის გათხრების დროს მოპოვებული არქეოლოგიური ნივთები ძირითადად ანისშივე დარჩა, იქ დაარსებულ მუზეუმში, ხოლო დღიურები, ფოტოები, განაწილები, ნახაზები, და სხვა რამ ნ. მართან ინახებოდა პეტროგრაფში 1917 წლის ნოემბრამდე. ამ თვის ბოლო რიცხვებში ი. ყიფშიძემ და გ. ჩუბინაშვილმა მოახერხეს ემოვთ რკინის გზის ორი ვაგონი თბილისში გამოსაგზავნად. შიგ ჩააწყვეს ანისის არქეოლოგიური გათხრების შესახები მასალები.

გ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკა და საოჯახო ნივთები, ი. ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა და ბინის მოწყობილობა (ხალიჩები, საწერი მაგიდა), ი. ყიფშიძის ბიბლიოთეკა და ჩემი ბიბლიოთეკა. ვაგონებს არავინ გამოჰყლიდა, რაც უთუოლ შეცდომა იყო, იმიტომ რომ სამოქალაქო ომის პერიოდში გამოგზავნილი ძვირფას მასალებიანი ვაგონების თვალყურის დევნება გზაში აუცილებელი იყო. ვაგონებმა ჩრდილო კავკასიამდე მოადწიეს და შემდეგ მათი კვალი გაქრა ანისის არქეოლოგიური მასალების დაღუპვის გამო ძალიან წყრებოდა ი. ორბელი: როგორ მოხდა, რომ ვაგონები უმეთვალყუროდ გაუშვესო ნ. მარი ამშვიდებდაო: თუ წყრომაზე მიდგა საქმე, ყველაზე მეტად მე უნდა ვწყრებოდე, რადგანაც ყველაზე მეტად ჩემი შრომის ნაყოფი დაიღუპაო.

ეს ამბები მომავალმა ახლახან სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგია-ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ „ანისის სიძველეთა“ სერიის მეოთხე ტომად გამოცემულმა დ. ყიფშიძის წიგნმა, რომელიც ანისის ქვაბებს ეხება. ეს არის: Д. А. Кипшидзе. Пещеры Ани (Материалы XIV Анийской археологической кампании 1915 года). Обработка материалов, предисловие и комментарии Н. М. Токарского. Ереван, 1972. წიგნი შედგება 183 გვერდისაგან, ახლავს 75 ტაბულა და ერთი ფოტოსურათი, რომელზედაც ნ. მარი და მისი თანამშრომლები დახატული.

წიგნში აღწერსულია და ვრცლად არის აღწერილი მაშინ არსებული ქვაბები, რომელთა რიცხვი და ყიფშიძის სიტყვით 500-ზე მეტი იქნება (ნ. ტო-

¹ „კლიტე“, აქ ძველი მნიშვნელობით არის ნახარო, რომელი მნიშვნელობაც დასავლურ კილოებშია შემონახული და გასაღებს ნიშნავს.

² Ф. Н. Успенский. История Византийской империи. М. Л. 1948, 52 „ვედროს“ ბერძნული ფორმა „ბედროს“-ისა, ეს კი დასავლური სომხური გამოთქმაა სახელისა, რომელიც აღმოსავლური სომხურით (და ძველი სალიტერატუროთი) პეტროს-ი არის.

³ ე. თაყაიშვილი, Тбетское евангелие XII века: МАК XII, 151—162.

⁴ Надпись Епифания, католикаса Грузии (Из раскопок Ани в 1910 г.) с фототип. воспроизведением): Известия АН 1910, стр. 1433—1442.

⁵ К социально-экономической жизни средневековой Грузии по анийской надписи (1218) Епифания: «Академия наук СССР академику Н. Я. Марру». XLV, Ленинград, 1935. ვადმიბეჭდა ვ. დონდუას „საისტორიო ძეგლთა“ I წიგნში. თბილისი, 1967, 48—78.

ცხენისწყალი

ვინ იცის

დავეძებდი მათა ჩქერში
 შთის დაწინწკლულ ფრთიან კალმახს,
 უცებ თითქოს გულზე გამკრა
 შენი ტალღის ნაპერწკალმა.
 და დავეშვი მწვერვალადან,
 კვლავ მორევი გადავცურო,
 ზავთანაო
 ცხენისწყალი,
 მიწის მწვანე თქარათქურო.
 თითქოს ვხედავ: შენთან ერთად
 აღმა-დაღმა მილივლივებს
 ჩემი ფიცხი სიკაბუკი,
 სიყვარულის თბილი სხივი.
 იქნებ ისიც ციხეც წაშევა
 აორთქლებულ ფრთიან ზვირთებს
 და ღრუბლებში შეიფეთა
 ატლანტიკის ზვიად სივრცეს...
 კვლავ მეძახის,
 ცხენისწყალი,
 მთვარიანი სიღრმე ტალღის,
 ნეტავ წამით დამელანდა
 გრილი ფსკერი,
 როგორც თაღი
 რომ გამეხსნა ის მთართოლვარე
 ზვირთთა ლურჯი სიღრმეები,
 იმ წყალქვეშა ყვავილებზე,
 ამ სითბოზე ვიმღერებდი.

ვინ იცის, ფოთოლს,
 ამ ცვრიან ფოთოლს,
 რომ უცქერიან ასე გულგრილად,
 აქვს საოცარი უცხო თვისება
 და შეუძლია მომანიჭოს
 უშრეტე ძალა...
 იქნებ ამ კლდეთა იისფერ ნატებს,
 რომ უცქერიან ასე გულგრილად,
 ძალუძს გაკვეთს, გაანათოს
 წყვდიადის სიღრმე
 და ჩემი აზრი...
 იქნებ იმ ღრუბელს,
 იმ შორ ღრუბელსაც,
 რომ უცქერიან ასე გულგრილად,
 აქვს უცარი გაზრდის
 უნარი
 და ავდრის სული,
 რომ აამწვანოს ეს უდაბნო,
 თუ სასაფლაო.
 ვინ იცის, იმ ქალს,
 თვალგებცქრიალას,
 რომ იცქირება ჩემსკენ ჩუმ-ჩუმად,
 რა უღევს გულში,
 როგორც საუნჯე...
 მაგრამ ყველაფერს: საიდუმლოს
 ამ ცვრიან ფოთოლს,
 შემკრთალი ჩიტის ფრთასავით რომ თრთის,
 ზავსიან კლდეთა
 უბრალო ნატებს
 ნაპერწკლით სავსეს,
 იმ შორ ღრუბელსაც,
 თეთრსა და სპეტაკს,
 სადაც რომ მალავს
 უცარ ნათელს...

იმ უცნობ ქალსაც თვალგებცქრიალას,
 რომ იცქირება აღერსიანად, —
 ყველაფერს, ყველას ვერ შეიცნობ
 ერთი შეხედვით,
 უბრალოების მიღმა სხივი
 თუ ვერ განვკრიტე...

თუ ასე ჰაიჭოვს

თუ ასე მათბობს ეს შენზე სევდაც,
 აუღერებელი სიტყვა უცრემლო,
 დამფერფლავს, მჭერა, შეხვედრა შენთან,
 ბედნიერებაც,
 ჭერ—განუცდელლო!
 მე ვდგავარ შენს თბილ ნაფხურებზე
 და მინდა ვიდე შენს გვერდით ახლოს,
 მაგრამ ვარ ჩუმი,
 ვით ერთგულდება,
 რომ ასე დიდხანს ვერ დამინახო...

* * *

რა ტურფად იშლებით იებო,
 რა ტბილად მწიფდებით ატმებო,
 სულ ახლოს მეძახით მთიებო,
 ჩემს გულში ტრიალებს სათქმელო!
 სულ ახლოს ფართქალებთ ქორებო,
 სულ ახლოს ციმციმებთ წვიმებო.
 რა მწვანედ ირწვეით ქარებო,
 ტყეებზე, მთებზე რომ იმეფოთ!
 სულ ახლოს ბრიალებ ქალწულო,
 კეთილო,
 პატარა მაცდურო...
 სულ ახლოს ვარვარებ მაღალო
 მიწაო და...
 ნელა ცივდები...
 მაგრამ დღე მოდის და მადლეუებს
 ნიავქარს დაყრდნობილ ზვირთებით...

კარსკი ორჯერ მეტს ანგარიშობს). აღწერაში მოყოლილია ქვაბოვანის ტერი-
 ტორიაზე დატული ძეგლები: პატარ-პატარა ეკლესიები, ნამონასტრები, სა-
 საფლაოები, (მაგ., ტიგრან ჰონენცისა, სადაც წარწერაში ზაქარია ამირსპასა-
 ლარი და მისი ძმა ივანეა მოხსენებული, გვ. 98) და სხვ. განსაკუთრებით სა-
 ყურადღებოა სამტრედიები, რომელთა რიცხვი 15-მდე ადის. სამტრედე ბევრ-
 გან გვხვდება ხეობებში (წალკოცაძორში, ივაძორში, ბაგნაირში).

სამტრედე წარმოადგენს პიტალო კლდეზე ამოკვეთილ პატარ-პატარა უჭ-
 რედებს, რომლებიც ჩამწკრივებულია ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად.
 თვითრული მთავანი გამოყოფილია მარჯვნივ თუ მარცხნივ და ზემოთ თუ
 ქვემოთ ამოკვეთილი უჭრედებისაგან თხელი კედლებით. მოყვანილობით ისი-
 ნი თითქმის კვადრატულია (რამდენადმე სიმაღლე სკარბობს სიგანეს). იშვია-
 თად მრგვალიც. ერთ კლდეზე, რომლის სამტრედე წიგნის 26-ე ტაბულაზეა
 მოცემული, 120-ზე მეტი უჭრედია, ხოლო ერთ სურათზე (ტაბ. 48), რომელ-
 ზედაც მხოლოდ მრგვალი სამტრედის ერთი ნაწილია დატეული, ზემო ია-
 რუსში 100-ზე მეტი უჭრედია, ქვემოში კი 160-ზე მეტი.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი რამ ნ. ტოკარსკის უნახავს 1915 წ. ხუვანის
 ვალმა (სოფ. ხუვანი მდებარეობს ოლთისისწყლის ერთი შენაკადის მარჯვენა
 მხარეს), სადაც ციხეა და ციხის შიგნით ქვის შენობა, რომლის კედლებზე ყო-
 ფილა პატარა სწორკუთხოვანი უჭრედები, ერთმანეთისაგან თხელი კედლებით
 გაყოფილი (გვ. 172).

დ. ყიფშიძის აღწერილობას ტექსტში ახლავს ნახაზები, განაწობები, ზოგ-
 ჭერ წარწერებიც არის მოყვანილი და სხვა. ნ. ტოკარსკი თავის კომენტარებში
 ზოგჯერ ასწორებს ან აწუსტებს დ. ყიფშიძის ცნობებს. ეს წიგნი ძალიან კარ-
 გი მონაპოვარია სომხეთის არქეოლოგიის დარგში და სასიამოვნოა, რომ ეს
 დ. ყიფშიძის ნაშრომი დალუბვას გადაჩა და ნ. ტოკარსკის უნდა ვუმადლო-

დეთ, რომ მისი მზრუნველობით დაიბეჭდა კიდევ სათანადო შენიშვნებით და
 ილუსტრაციებით.

დავით ყიფშიძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე გამოკვლევა, რომელიც ეხე-
 ბა სამ პალესტინელ მოღვაწეს: პროხოვრეს, რომელიც იყო „ნათესავით ქართ-
 ველი, ქუეყანით შავშეთით“. და იერუსალიმში ააშენა ჭუარის მონასტერი
 (XI ს.), ლუკას, რომელიც „იყო ნათესავით ქართველი, ნათესავთათ და მშო-
 ბელთათათ პატიოსანი და წარჩინებული მუხამასქე (XIII ს.), და ნიკოლოზ
 დვალს, რომელიც „იყო ნათესავით დვალი, სოფლისაგან, რომელსა ეწოდე-
 ბის წაა“ (XIV ს.). სამივე პირის მოღვაწეობის ტექსტი სვინაქსარული ხასია-
 თისაა და გამოცემულია ორი ხელნაწერის მიხედვით. ეს ნაშრომი დაიბეჭდა
 დ. ყიფშიძის სიკვდილის შემდეგ, სამსავე ტექსტს ახლავს რუსული თარგმანი
 და უძღვის საფუძვლიანი ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა.

დავით ყიფშიძე, უთუოდ ნიჭიერი, სინდისიერი მეცნიერ მუშაკი და კარ-
 გი მომავლის მჭონე, საუბედუროდ, ადრე დაიღუპა. მას კლექი სჭირდა და
 მისი მსხვერპლი ვახდა. უფროსი ძმის იოსების სიკვდილის შემდეგ (1919
 წლის თებერვალში), რაც პარტახტიანი ტიფის შედეგი იყო, უმცროს დავითს
 დიდხანს აღარ უცვლელია. იგი იმვე წელს გარდაიცვალა და ისიც დიდუბის
 სასაფლაოზე დაკრძალეს, ოღონდ სხვა ადგილას, ტაძრის დასავლეთით, ხოლო
 შემდეგ გადასვენეს სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს და მისი ნეშტი, უფროსი
 ძმის ნეშტთან ერთად, განისვენებს დღევანდელ პანთეონში. სამიოდე წლის
 წინათ მათ მიემატა იოსებ ყიფშიძის მეუღლე გენო (ევგენია) ევაძის ქალი.

დასასრულ, დიდი მადლობა უნდა მოვუხსენო აკადემიკოს სურენ ერე-
 მინანს, რომელმაც ჩემი სიყრმის მეგობრის ნაშრომი გამომიგზავნა, ნაშრომი,
 რომელმაც ამ სტრიქონების დაწერა მიეკარნა.

საქ. სსრ კ. მარქსი
 სახ. სახ. რესპუბ.
 ბიბლიოთეკა



რბ მოხდა ტროლეიბუსში

დარბაისელმა სანდომიანმა მამაკაცმა კიბეზე ფეხის დადგმა მოასწრო და ტროლეიბუსიც დაიძრა.

— იპოლიტე! — სიხარულით მიესალმა დარბაისელი, სანდომიანი მამაკაცი მასავით დარბაისელს, სანდომიანს, ელემენტურად ჩაცმულ მამაკაცს.

— პავლე, შენ რა გითხარი, სად ხარ კაცო, სად დამეკარგე! — ერთმანეთის ნახვით ნასიამოვნებმა ნაცნობებმა თითქმის ერთდროულად გაუწოდეს ფული კონდუქტორს ქალს.

— მე ავიღებ, მე, — შეწუხდა იპოლიტე, — შეინახე, თუ ღმერთი გწამს. ა, ვიღებ უკვე. ორი ბილეთი, თუ შეიძლება, — მიუბრუნდა კონდუქტორს.

— როგორ გეკადრება, — იპოლიტეზე მეტად შეწუხდა პავლე, — დაუბრუნე ერთი შენ მაგას მაგ ფული და, აგერ მომეცი ორი ბილეთი. როგორ გყავს მერულლე, ბავშვები, ალბათ, სკოლაში დადიან უკვე.

— ისინი კი დადიან სკოლაში, მაგრამ შენ მაგ ხელი აიღე მაქედან, იცოდრე მეწყინება. ახლა ვითომ რა მნიშვნელობა აქვს ვინ აიღებს, შენ თუ მე.

— საქმეც იმაშია, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ვინ აიღებს და ამისათვის ავიღებ მე. შენ რა, არ გეუბრება: გეუბნები მომეცი-მეთქი ორი ბილეთი.

— გამაგებინეთ რომელს გამოგართვათ! — გაბრაზდა კონდუქტორი, — აიღეთ ორივემ ორ-ორი ბილეთი და გათავდებთ საქმე.

— თქვენ ცოტა ნაკლები ილაპარაკეთ და ის გააკეთეთ, რასაც გეუბნებიან! — შენ კი, ჩემო პავლე, მაგ ფული შეინახე, სხვა დროს გამოგადგება.

პავლეს, რატომღაც ეწყინა იპოლიტეს ნათქვამი.

— შენ არ გამოგადგება? ვითომ რა გინდა ახლა მაგითი თქვა...

— დიდი უცნაური კაცი ხარ, ღმერთმანი, — ნაძალადევად გაიციანა იპოლიტემ.

— ჰო, ვითომ რა, შენზე ნაკლები ფული მაქვს ჯიბეში?

— არ ვიცი, გენაცვალე, შენ რამდენი ფული მაქვს ჯიბეში. მე კი ვიცი რამდენი ფულიც მაქვს ჯიბეში. ისე, სხვათაშორის, რაც მაქვს, ყველაფერი პატიოსანი შრომითაა შექმნილი.

— როგორ, როგორ? — გაანჩხლდა პავლე, — იქნება ჩემი ფული ნაჭურღალად მიგაჩნია?

— გამაგებინეთ, მაინც რომელი ამირებთ ბილეთის აღებებს?

— მოითმინეთ ბატონო, — ხმას აუწია იპოლიტემ, — მართალი ვითხრა, ვერ გავიგე, პავლე, რა გინდა ჩემგან.

— ბოლომდე თქვი, რაც გინდოდა გეთქვა, თუ ვუქაცო ხარ! — გადაჭრით მოითხოვა პავლემ.

— ერთბაშად არ შემაშინო, — იპოლიტულად გაიციანა იპოლიტემ.

— არ გეშინია? — წინ წამოსწია ნიკაპი პავლემ.

— ჩამოგადგებ მაგ ნიკაპს ძირს, თუ კაცი ვარ! — იყვირა იპოლიტემ. ჩხუბი სულ უფრო და უფრო მძაფრდებოდა.

ქუჩაში ორ მილიციელს მიბჟავდა ზურგზე ხელბდაწყობილი პავლე. ცოტა მოშორებით კი რამდენიმე მილიციელი ძლივს აჩერებდა გააფთრებულ იპოლიტეს.

როგორც არსებული სიტუაციიდან ჩანდა, ამ სცენას წინ უსწრებდა სცენა, რომელშიაც იპოლიტემ გაქაბილებული პერანგი ჩამოახია პავლეს, პავლემ კი თავისი მხრიდან მარცხენა თვალი ჩაუღურჯა იპოლიტეს.

მილიციელმა ტაქსი გააჩერა, მოჩხუბრები მანქანაში შეტყარა და თვითონ შუაში ჩაუჭდა.

— მეთორმეტში! — უთხრა შოფერს. ჩხუბი ახლა მანქანაში გაგრძელდა.

— შენ გგონია არ ვიცი, ვინ დამიგდო ხმა ბზიკაძეს ლანძღავს? რატომ უნდა გამელანძღა ბზიკაძე მე, შე ვირო!

— შენ სისხლს დავლევ მე, პავლე, თუ ვყოფილვარ კაცი, შენ მომიწყვე ის, რომ ტრესტიდან წავიდე, ყველაფერი მომიყვანა არჩევამ, ყველაფერი, შე უნამუსო, შენა!

მანქანა მილიციის შენობასთან გაჩერდა. მილიციელმა ძლივს გადმოიყვანა მოჩხუბრები და მორიგეს წარუდგინა.



გვიან ღამით

შუალამეა. კომმუნურნეთა მოედანზე კაცის ქვაბნება არ ჩანს. სიჩუმეს მხოლოდ მთვრალეების ღრინცელი არღვევს.

ბიჭები პატარა ბაღის ღობესთან შეჭაფუფებულან. შინ წასვლა, როგორც ეტყობათ, სიკვდილივით ეწარებათ. ერთ-ერთმა, გართობის მიზნით, წიხლი ჰკრა ურნას და გადააბრუნა.

— ო, რას ვუთაქებდი ახლა ცხვირპირში ვინმეს! წინააღმდეგი ხომ არავინაა?

— ოჰ, რაღაც თავი მიბრუნის, მომეცი სიგარეტი.

— რა მოხდა, ქალაქში კაცის სახსენებელი რომ არ დადის, სად ეშმაკებში წავიდნენ, ა?

— ბუნაგებში.

— მოდით მედიკოს ენოში წავიდეთ, დაგვდეთ კიბეზე და დილაზე ვიმდეროთ.

— აჰ, აჰ, საზოგადოებრივი მეცნიერებები ჰყავს.

— აბა ერთი დაძვან კრინტი და მერე მე ვიცი... — აგრესიულად განწყობილი ბიჭები თვალებს აცვიცებენ აქეთ-იქით.

მოედნის მეორე მხარეს ქალიშვილი გამოჩნდა, ბიჭები უცბად გაისუნუნენ და უაზრო თვალებით მიასტერდნენ მალაქუსლიანი ტუფლების ბაკიბუკით მომავალ გოგონას.

— ქალიშვილო, ერთი წუთით, — გამოეყო ამხანაგებს ერთი ახალგაზრდა და ფეხდაფეხ აედევნა ქალს.

ქალიშვილმა ხმა არ გასცა და ნაბიჯს აუჩქარა. რა თქმა უნდა, არც ბიჭს დაწარბია ნაბიჯის აჩქარება.

— მოიყვანე ბიჭო აქ, რაღაცას მოვუყვებით, — უყვირიან მას ამხანაგები.

გოგონამ უმწეოდ გაიხედა აქეთ-იქით. ირგვლივ არც ერთი სულიერი. არც მილიციელი, არც დარბაისი...

დამფრთხალი გოგონა თითქმის გადარბის ქუჩაზე. ბიჭს ფიქრადაც არ მოხდის ჩამორჩეს აქანკალებულ ქალიშვილს.

გოგონა აღმართვს არბის, ბიჭი ფეხდაფეხ მისდევს.

— გაჩერდი, გეუბნები!

გოგონამ სირბილს უშატა, გაბრაზებულმა ახალგაზრდამაც პაპირისი დაღებუა ნერვიულად, ვიტრინას ესროლა და სირბილს უშატა.

როგორ, ვინ გახედა უარის თქმა მის გაცნობაზე?

სიბრაზისაგან გაცოფებული ბიჭი სასოწარკვეთილ გოგონას დაეწია, უხეშად მოკიდა ხელი მკლავზე და ისე მძლავრად მოაბრუნა თავისკენ, რომ მხარი კინაღამ მოამტვრია.

— გარსევან, — შვებით ამოისუნთქა ცოცხალ-მკვდარმა ქალიშვილმა, — როგორ შემაშინე, შენ რა გითხარი, — და გარსევანს მოხვია.

გარსევანი წამით დაიბნა, არაფრით არ ელოდა ამ შუალამეს ქუჩაში დეიდამშვილთან შეხვედრას, მაინც აკოცა ქალიშვილს.

მერე უცბად აღშფოთდა:

— შენ, ქალბატონო, როგორ ბედავ ამ შუა ღამეს ქუჩაში სერიზობას?

— რა მოხდა მერე? მერისთან ვიყავი და ცოტა შემავიანდა...

— შემავიანდას მოგცემ მე შენ, დეიდაჩემო როგორ არის?

— კარგად.

— ბიძაჩემი?

— კარგად, რა უჭირს, გუშინ გკითხულობდა სწორედ, რატომ არ გამოივლი?

— დღეს ვამირებდი ამოსვლას და ამხანაგებთან შეეჩერდი. — არა, მაინც როგორ ბედავ ამ შუალამით სიარულს, მთვრალეებით და ხულიგნებითაა ქალაქი სახვე, კიდევ კარგი, რომ გიცანინ... წამოდი, წამოდი, გაგაცილებ... სიუ, ტაქსი.

ახალგაზრდები მანქანაში სხდებიან.

ტაქსი რბილად გასრიალდა უკაცრიელ ქუჩაში.

კვდებოდა, როცა იგონებდა გუშინდელ თავგადასავალს.

— ცოტა მთვრალი გახლდით და ამიტომ ყველაფერი არ მახსოვს. თავისუფალი ვარ? სასამართლოს თავმჯდომარემ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად.

— წაბრძანდით. საბრალდებლო სკამზე სამი ისხდნენ — ახმახი, ქალთან მოსაუბრე მამაკაცი და გოლიათი.

ბრალდებულების სახეზე იხატებოდა აღშფოთება.

დარბაზი განაბულიყო განაჩენის მოლოდინში. დარბაზში შემოვიდნენ მოსამართლე და მსაჯულები. დამსწრენი ფეხზე ადგნენ. მოსამართლე კითხულობდა განაჩენს:

მოქალაქეებს: ვახტანგ პეტრეს-ძე სალაყაიას, კრიგოლ არჩილის-ძე გომელაურს და გურამ ერასტის-ძე კობერიძეს, ედებათ რა ბრალი მასში, რომ ამა წლის 19 ივლისს დღის 8 საათზე, რუსთაველის პარკსა და გვირაბს შორის მდგომარეობაში მყოფებმა პასუხი არ მოსთხოვეს რობერტ ხარიტონის-ძე თელიას, რომელმაც სხვადასხვა სახის შეურაცხყოფა მიაყენა მათ...

— მე მაგის კი არა, ერთად ათი კაცის არ მეშინია. მოვიდეს და სინჯოს ვისაც უნდა. მაგრამ ასეთი ლეკვი რომ არაფრად გავდებ, მამასადამე, დანა უდევს ჭიბუში, — თავს იმართლებდა გოლიათი.

— ახლა, პაპიროსისათვის ხომ არ მოვკვლევინებდი თავს, — ამბობდა ახმახი.

— ცოლი რომ ყოფილიყო, ცოცხალი ვერ გადავირჩებოდა მაგ გარეწარი, — უყრიდა ქალთან მოსაუბრე მამაკაცი.

მსაჯულებმა უესტით აგრძობინეს ბრალდებულებს ჩუმად იყავითო.

თავმჯდომარე განაგრძობს განაჩენის კითხვას.

— სამივე ბრალდებულს მიესაჯა სამ-სამი წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი საბოლოო და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

დამსწრეებმა ტაში დაუკრეს მოწონების ნიშნად. რამდენიმე მილიციელს გაჰყავდა დარბაზიდან პატიმრები.



თბილისელი გიძია მალხაზი

თბილისის ვაგზლის შენობის წინ დიდ ჩემოდნებზე იჯდა დედა-შვილი. დედას უბრალო, თეთრი თავსაფარი ჰქონდა მოხვეული. გოგონას ტანზე სადა კაბა, ხოლო ფეხებზე საკალათურთო კედები ეცვა. ქალიშვილს თავი სერიოზულად ეჭირა და თავისი ყვირითი თმების წყალობით ვკირილას მოგაგონებდა.

მალალი, ლამაზი ვაჟი ცოტახანს ათვალერიებდა

დედა-შვილს, შემდეგ მიუახლოვდა და გვერდით დაუდგა ჩამოსულს.

— რა იყო, დედილო, მოგეწყინათ? — რუსულად ჰკითხა ვაჟმა და მანქანის ვახლეობი ათამაშა ხელში.

ქალმა შეხედა ვაჟს და გაუცინა.

— მატარებელს ველოდებით. პერში მივდივართ სოჭის გავლით. ბილეთებს ერთ საათში დაარიგებენ, თქვენ საით მიბრძანდებით?

— მე არსადაც არ მივდივარ, აქაური გახლავართ, მილიონად არ წავალ აქედან, — ვაჟი ცოტა ხანს დაფიქრდა, შემდეგ შესთავაზა დედა-შვილს. — სანამ თქვენ ბილეთების რიგში დგახართ, თუ გინდათ ქალაქში გავისეირნებთ მე და თქვენი ქალიშვილი, მანქანა მყავს, — ვაჟმა იქვე მდგარ „მოსკვიჩისკენ“ გაიხედა, — რატომ უნდა იქდეს აქ ტყუილად?

— რატომაც არა, წავიდეს, ნახოს ქალაქი, — გაეხარა ქალს, — ოღონდ არ დაგვიანოთ. ჩვენი მატარებელი გადის 7 საათზე და 45 წუთზე.

ქალი ახლა გოგონას მიუბრუნდა:

— გინდა გასეირნება ამ ახალგაზრდასთან?

გოგონამ თავი ჩაღუნა და ისე ამოხედა ბიჭს.

— შვიდ საათამდე დავბრუნდებით, — შემდეგ გოგონას მიუბრუნდა, — დაჯექი, რისი გეშინია.

— არ მეშინია... — თქვა გოგონამ.

— რად გინდა, დეიდა, ტყუილად ჩემოდნების დარაჯობა, აგერ ჩავდვით მანქანაში და ისეირნო ჩვენთან ერთად.

— ჩემოდნები?.. — შეყოყმანდა ქალი.

— დედა, მართლა რატომ უნდა მწყემსო ბარგი ტყუილად, — გადაწყვიტა ქალიშვილმა დედის მაგივრად, — ჩავაწყუთ მანქანაში.

ახალგაზრდამ ჩემოდნებს ხელი დაავლო და მანქანის საბაგაჟოში ჩადგა.

— ქვები ხომ არ გიდევთ, რა მძიმეა, — იცინის ვაჟი.

გოგონა ჩაქდა მანქანაში და „მოსკვიჩი“ დაიძრა.

— არ მოიწყინოთ, დეიდა! — გადმოსძახა ვაჟმა ქალს მანქანიდან.

„მოსკვიჩი“ ფუნქიულიორისაკენ მიმავალ გზაზე მიჰქროდა.

ახალგაზრდამ მანქანა გააჩერა.

— გადმოდი ლუსია, გადახედე თბილისს. ქალიშვილი მივიდა ვაჟთან.

ქვემოთ, მთებში შემოფარგლული თბილისი მოჩანდა.

— ხედავ, როგორია ჩვენი ქალაქი? აგერ დიდი შენობა რომ მოსჩანს, მინისტრთა საბჭოა. ეს მტკვარია, მოგწონს?

— მომწონს! თქვა გოგონამ.

— შენ პერში ცხოვრობ?

— დიას.

— წავიდეთ?

— დიას.

გოგონა და ვაჟი ფუნქიულიორის რესტორანის ღია ვერანდაზე ისხდნენ.

— ჰამე, რატომ არ სჯამი — ვაჟმა მწვადის ნაკერი გადმოუღო გოგონას.

— რატომ ვჯამო, არ ვარ მშვიერი.

— მოდი, ეს ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს.

— მე საერთოდ არ ვსვამ, ბიძია მალხაზ!

— აბა, იქეტი მუმიასავით და საერთოდ, ნუ მეძახი ბიძია მალხაზს. უბრალოდ, მალხაზი დამიძახე ასე ბებერი გგონივარ?

— არ გგონიხარ ბებერი.

მანქანამ ახლა მთავარი გზიდან მარცხნივ გადაუხვია. დაიწყო მშვენიერი ტყეები, ირგვლივ მყუდროებაა. მხოლოდ ჩიტების ჟივილ-ხივილი არღვევს სიჩუმეს. „მოსკვიჩი“ გაჩერდა. მალხაზი გადმოვიდა და წინა სახურავი ახადა.

— რაშია საქმე, რაღაც გაფუჭდა, ვერ გავიგებ, რა... — მალხაზმა ინსტრუმენტები გამოიღო და მანქანას ჩხიკინი დაუწყო.



სასამართლო, რომელიც არ შემდგარა

პატარა, ჩია ტანის ახალგაზრდა აუტანლად ხულიგნობდა ქუჩაში. აი, თითი მოაშორა წყლის დასალევე შადრევანს, დაგუბებული წყალი ერთბაშად ავარდა მალა და გამველები დაწუწა. ბიჭი კვდებოდა სიცილით.

შემდეგ მუქარით დაუქნია საჩვენებელი თითი პენსიონერს, რომელმაც წესრიგისაკენ მოუწოდა.

ბიჭი უზარმაზარ მამაკაცს მიუახლოვდა და პაპიროსი მოთხოვა.

ახმახმა ჭიბიდან „უაზბეგის“ კოლოფი ამოიღო, თავი ახლა და ბიჭს გაუწოდა. ხულიგანმა კოლოფი გამოართვა, ერთი ცალი პაპიროსი ამოიღო, მოლუკიდა, ხოლო კოლოფი ჭიბეში ჩაიღო. ახმახი მამაკაცი დაიბნა. ახალგაზრდა უტიფრად უყურებდა თვალბეზირს ახმახს.

— მგონი რაღაცის თქმას აპირებდი ბიძია? — გამომწვევად ეკითხებოდა ბიჭი ახმახს.

— არაფერი, არაფერი, — პასუხობდა შეშინებული ახმახი.

ხულიგანმა ახლა იქვე მდგარ ქალს და მამაკაცს გაუარა, შეჩერდა, ქალი ათვალერი-ჩათვალერი და ზურგზე ხელი მოუცაცუნა. მამაკაცი აღშფოთდა, ხულიგანი ნელა მიუახლოვდა მამაკაცს.

— თქვენ რაღაც გაბრაზებული მეჩვენებთ.

— ნუ მოიქცევ ყურადღებას, ხომ ხედავ მთვრალია, — ემუდარებოდა ქალი მამაკაცს. მამაკაცმა შეიწყენარა ქალის მუდარა. ხულიგანი არხინად მიახიჭებდა ქუჩაში. ვიღაც გოლიათის ხელოვნურად დაკუნთულმა ტანმა გააღიზიანა რატომღაც ბიჭმა თითი დაუქნია გოლიათს. ისიც მორჩილად მივიდა ხულიგანთან.

— აბა, დაბერე მუსკულები, — უბრძანა უტიფრად, — ჩქარა, — გოლიათმა ჭიბეში ჩაიწყო ხელები და დაბერა მუსკულები. ხულიგანმა ხელი შეავლო მამაკაცის მკლავს, ცინიურად ჩაიღიმა და მამაკაცს უესტით ანიშნა თავისუფალი ხარო.

— გადაწოდეთ, თუ შეიძლება ერთი ბილეთი, — ეუბნება ტროლიბუსში მოქალაქე ხულიგანს და სამანეთიანს აძლევს მას. ხულიგანმა ფულს დახედა და მშვიდად ჩაიღო ჭიბეში.

— მომეცი ჩემი ფული, — აღშფოთდა მგზავრი. ხულიგანმა ხელი ჩაართვა თავში მგზავრს და არხინად ჩავიდა ტროლიბუსიდან.

ჩია ბიჭი ამაყად მიახიჭებს ქუჩაში. შეშინებული გამველები გზას უთმობენ და დაფეთებული იფანტებიან აქეთ-იქით.

სახალხო სასამართლოს დარბაზი. ხულიგანი ჩვენებს აძლევდა სასამართლოს, თან სიცილით

ი გ ა ვ ე ბ ი

არწივი და თხუნელა

ერთმა თხუნელამ განიზრახა მზის შესახებ ტრაქტატის დაწერა და გადასწავილა არწივის მოწვევა სტეცი-
აღურ კონსულტანტად. „თქვენზე ამ-
ბობენ, — უთხრა მან არწივს, —
რომ მზეს ყველაზე ახლოს იცნობთ,
მამცნეთ რა ფაქტობრივი საფუძვე-
ლი აქვს ხალხის ამგვარ მტკიცებას“.
არწივმა დასწერა რეფერატი და
წარუდგინა. თხუნელა გაეცნო რე-
ფერატს და უთხრა: „მართალია მე
მხედველობა არ გამოჩინა, მაგრამ
სიწმარში მინახავს მზე. თქვენს მიერ
აღწერილი მზე კი ოდნავადაც არ
ემთხვევა ჩემს მიერ ნახულს. დამა-
ჭერებლობა აკლია თქვენს შონათხ-

რობს. კარგი იქნებოდა, თუ განავრ-
ცობდით და არგუმენტებით განამტ-
კიცებდით თქვენს რეფერატს“.

„მეტს ვერას მოგახსენებთ თქვენ-
თვის გასაგები ენით, — მიუგო არ-
წივმა, — თქვენი ბიძაშვილი ვირთა-
გვა კი ჩემზე უკეთ განვიმარტავდათ
მზის რაობას, იგიც ხშირად ხედავს
ხოლმე მზეს, როდესაც მიწის ზედა-
პირზე ამოდის, ამიტომ მისთვის და-
მითმია კონსულტანტის ადგილი“.

ხე და ნაცარი

ერთმა გლეხმა ნაცარი გამოიტანა
ეზოში და ხეებს ჩაუყარა. პატარა
ვაჟმა ბუთხა: მამავ, რად სჭირდება-
თ ხეებს ნაცარი?

გლეხმა მიუგო: შვილო, ხომ გაგი-
გია, კაცი კაცის წამალიაო, ასევე
ხეც ხის წამალია, ნაცრად ქცეული
ხე ისევ ხეს გამოადგებაო სასუქად.
ცხოვრებაშიც ასეა: კაცმა რომ მეო-
რე კაცს არგოს, აი, ამ ხესავით უნ-
და დაიწვას მისთვის და დანაცრდესო.

ფარშავანგი და გველი

ფარშავანგმა უთხრა გველს: ძმო-
ბილო, რა მშვენიერი პერანგი გაქვს
და არ აფასებ. ნაცვლად იმისა, რომ
გზაზე გამოფინო, გაიძრობ და სად-
ღაც ძეძვიანში მალავ. მე მომბაძე, ნა-
ხე, რა ხშირად ვწლი ჩემს ბოლოს,
რათა დიდი და მცირე დავატებო
ქვერეთით.

გველმა მიუგო: ებ, ძვირფასო,
შენთვის შენი მარაოს გაშლა თვა-
ლის დახამხამებაა, მას გართობის და
სიამის გარდა არა მოაქვს რა შენთ-
ვის, მე კი ჩემს პერანგს ისეთი ტანჯ-
ვით ვიძრობ, რომ აღარ მჩრება ხა-
ლისი მის გამოსაფენად და სეირის
გასამართადო.

სინხარბის მსხვერპლი

ერთხელ მდინარეში ლოქო მურ-
წას წამოეწია და გადაუღამა დაუ-
პირა.

„ძმობილო, დაგვიწყდა, რომ მდი-
ნარის კონსტიტუციის მიხედვით
დიდ თევზებს ეკრძალებათ პატარე-
ბის გადასასვლა“ — შენიშნა იქვე
მყოფმა წანარმა.

„შენ ვისი უფასო ვეჭილი ხარ, —
შეუღრინა ლოქომ, — განა თავად
ვერ იტყვის, პირი არა აქვს თუ რა?“
„პირი კი აქვს, მაგრამ წყლითა და
შლამითა აქვს საფხე“ — მიუგო წა-
ნარმა.

ლოქომ ყური არ ათხოვა წანარის
გაფრთხილებას და გადაუღამა მურ-
წა. თურმე მურწა თავად ანკესა-
დაუღამაული იყო, იგი მეთევვეებს
განზრახ ჩამოეშვათ მდინარეში ლო-
ქოს მოსანადირებლად.

ასე რომ მცირე ხნის შემდეგ ლო-
ქვც აათრიეს ნაპირზე, გამოფატრეს
და შამფურზე ააშხინეს.

სასანთლემ და სანთელი

სასანთლემ უთხრა სანთელს: ჩემს
გარეშე შენს არსებობას აზრი არა
აქვს, მე რომ არ გიკავებდე, რა სარ-
გებელს მოუტანდიო ვინმეს.

სანთელმა კი მიუგო: ნუ დაკვი-
წყდება, რომ შენამდის მე ვარსებობ-
დი, შენ ჩემთვის გაგაკეთეს და არა
მე შენთვისო. ჩემი დანიშნულება
ბნელის განათებაა, მთელი შენი და-
ნიშნულება კი ჩემი დაკავებაა: თა-
ვთ შენი სახელიც კი ამაზე მეტყვე-
ლებსო.

— ბიძია მალხაზ, — იცინის ლუსია, — ცხვირზე
მური გაქვთ.

— არა უშავს. ნუ ჯდები მანქანაში, აქ ერთი
მსხლის ხეა, ისეთი მსხალი ასხია, შენ სიცოცხლე-
ში უკეთესს ვერაფერს შექამ. წავიდეთ?

ქალ-ვაჟი ღრმა ტყეში შედიან, მალხაზი აქეთ-
იქით იყურება.

— აქ უნდა იყოს სალადა. ჰო, აქეთ, ხედავ, რა
მსხლებია? დაიცადე.

— არ გინდა, ბიძია მალხაზ, მე თვითონ ავალ ხე-
ზე, — გამოცოცხლდა გოგონა.

— ნუ მეძახი ბიძიას-მეთქე, ხომ გითხარი.

მალხაზი ხეზე ავიდა, მაგრამ ფეხი დაუცდა და
წლართანი მოადინა მიწაზე.

— ბიძია მალხაზ, რა დაგემართათ? — გოგონა
შეშინებული სახით დასჩერებოდა ვაჟს. მალხაზს
სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა სახეზე.
გოგონამ დაიჩოქა და ვაჟს მკლავზე მოქაჩა. მალ-
ხაზმა თვალი გაახილა, წამოჭდა და სიცილი ატენა.

— მატყუარა, — გაიცინა ლუსიამ, — ხომ არ
იტყინეთ რამე?

ვაჟმა წამოდგომაც ვერ მოასწრო, რომ გოგონა
ხეზე გაჩნდა. გოგონამ მსხალი მოსწვიტა და ძირს
ჩამოაგდო.

— დაიჭირეთ.

ტყეში მწყემსი ძროხებს მორეკავდა. ნახირი
შემოესია მსხალს. კარგად დაბნელებულიყო.

„მოსკვირი“ მოსრიადლებდა გზატკეცილზე. გო-
გონამ გემრიელად ჩაებინა მსხალი.

— რატორც კი დავამთავრებ სკოლას, მოსკოვის
თეატრალურ ინსტიტუტში შევალ, მსახიობი მინდა
გამოვიდე.

— როცა გამოჩენილი მსახიობი გახდები, არც
კი მომესალმები, ხომ?

— არა, რას ამბობთ, მე ასეთი არა ვარ. თუ
გინდათ, კითხეთ დედაჩემს. ჩემთვის სულერთია
აღამიანი ღამიანია, თუ უღამაზო, ხუთი წლის არის
თუ ორმოცის, მთავარია აღამიანობა, ხომ მართა-
ლია?

— მართალია, — გაიცინა მალხაზმა.

— მე თქვენ პერმიდან წითელი ჟოლოს მურაბას
გამოგიგზავნით, ხომ გიყვართ ჟოლოს მურაბა?

— ვიგულებო. ახლა ეს მითხარი, გიკოცნია ვინ-
მესთვის? — იცინის მალხაზი, — რა თქმა უნდა
დედა-მამის გარდა, შეყვარებულისათვის გიკოცნია?
გოგონა დაფიქრდა და მალხაზს ლოყაზე აკოცა.

— კი მაგრამ, მე ხომ არ ვარ შენი შეყვარებუ-
ლი, მე გახლავართ თბილისელი ბიძია მალხაზი, —
სიცილით თქვა მალხაზმა და მანქანა გაჩერდა ვაჭ-
ლის წინ.

— დედა, ჩვენ რესტორანში ვიყავით იმ მთაზე,
— მხიარულად დაუძახა გოგონამ დედას, — რო-
გორ არის ბილეთების საქმე?

— ბილეთები ავიდე, — იცინის დედა, — ახლა
თქვენ გელოდებოდით, სულ გზაზე ვიყურებოდი
ხომ არ მოდის მეთქი წითელი „მოსკვირი“.

— დედა, მე შენთვის მსხლები დაგვარიფე ტყეში.
მალხაზი ემშვიდობება დედა-შვილს.

— ბედნიერად, შვილო.

— ნახვამდის ბიძია მალხაზ, ბედნიერად!
მალხაზი ჩაქდა მანქანაში, მხიარულად ჩაუქრა
თვალი გოგონას და მოტორი ჩართო. „მოსკვირი“
ვაჭლის მოედანს უფლიდა გარს უკვე, როდესაც
ქალს გაახსენდა ჩემოდნები.

— ამხანაგო, ჩემოდნები! — ამაოდ იძახდა ქალი.

— კი მაგრამ როგორ მოგვივიდა...

— აიღო და უცხად წავიდა, — თქვა გოგონე-
ბულმა გოგონამ.

სწორედ ამ დროს მათ წინ „მოსკვირი“ გაჩერდა.

— ჩემოდნები დაგვიწყდა, დედილო!

— აჰ, გმადლობთ, — სინხარულით აღმოხდა ქალს.

მალხაზმა ჩემოდნები გადმოიღო მანქანიდან, ვა-
გონამდე მიაცილა დედა-შვილი და კვლავ გამოემ-
შვიდობა მათ.

— არ ვიცი, რით გადავიხადოთ პატივისცემა, —
ღიმილით თქვა ქალმა.

— ჟოლოს მურაბა გამოგიგზავნეთ, — შუა გზი-
დან დაუძახა ვაჟმა.

— სად გამოგიგზავნეთ? ვაგონის ფანჯრიდან
ეძახის გოგონა — თქვენი მისამართი არ მოგი-
ციათ. მითხარიოთ მისამართი...

მანქანა უკვე დაიძრა.

— თბილისი, ბიძია მალხაზს, — მხიარულად
გადმოსძახა მალხაზმა მანქანიდან.

„მოსკვირმა“ ვაჭლის მოედანზე მოუხვია და
ელექტრონით გაჩირადლებულ ქუჩებში გასრიალ-
და.

ეკრანზე მოსჩანს წარწერა (გაუთიდან):
გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციას!

ჩვენ, დედა-შვილი ბიკოვები ამა წლის 19 ივ-
ლისს ბაქოდან პერში მივემგზავრებოდით. თბი-
ლისის საღებურში უნდა გაჩერებულყოფით 7 საა-
თამდე, ვილაც ახალგაზრდამ გამოიჩინა ჩვენს მი-
მართ დიდი ყურადღება, ჩემს ქალიშვილს დაათვა-
ლიერებინა ქალაქი, ბარგი შეგვაცანინა ვაგონში და
სხვა. ახალგაზრდამ არ გვითხრა თავისი ვინაობა.
ჩვენ არც გვარი ვიცით მისი, არც ბინის მისამარ-
თი და არც სამსახურის ადგილი. ვიცით მხოლოდ,
რომ მას მალხაზი ჰქვია, მალხაზი თბილისიდან. თუ
ამ სახელით ვინმე გამოჩნდება თქვენს რედაქ-
ციაში, გთხოვთ გადასცეთ მას ჩვენი დიდი მად-
ლობა და მცირედი საჩუქარი — წითელი ჟოლოს
მურაბა. გალინა და ლუსია ბიკოვები. ქ. პერში.

სკანდალის ასაღი სოსოსდა

წელს ქართულ თეატრში მარჯანიშვილის წელია, მისი მაღლი და ნათელი ადგას მთელ ქართულ თეატრს. ვინ ჩამოსვლის რაოდენი სიყვითლე მოუტანა მან მთელს ჩვენს კულტურას. მხოლოდ ათ წელს მოღვაწეობდა საქართველოში და უკვდავი გახდა, როგორც უკვდავი ჩვენი თეატრი და მისი „კაცობის ლამაზი არის“ (ვაჟა-ფშაველა). თუმცა ათი რაბა, „ცხოვრების ბრჭყალებში“ ხომ ქართული სპექტაკლი იყო. მერე რა ვუყოთ, თუ იგი სამხატვრო თეატრში დაიდგა. „ეს იყო ჩემი პირველი ქართული სპექტაკლი, — ამბობდა მარჯანიშვილი, — მე ვგრძობდი როგორ იღვიძებდა ჩემს სულში ჩემი სამშობლოს მზე... მაღლობა რუსეთს... მისმა მშვიდმა გულკეთილობამ ერთი წუთითაც არ შეანელა აღმადგენა, ეს მომცა მე ჩემმა პატარა, ჩემმა საყვარელმა საქართველომ“.

ეს მაღლიერი ქვეყანა ახლა თავისი დიდი შვილის ასი წლისთავს ზეიმობს. ყველა თეატრი მიიღებს თავისებურ მონაწილეობას ამ აღლუმში. ყველა... მაგრამ განსაკუთრებით კი მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, რომელიც ახლა თავისი მასწავლებლის სპექტაკლით მარჯანიშვილიმ კვალს გაჰყოლია და მოსკოვსა და ლენინგრადში მოგზაურობს.

რეჟისორისათვის ყველაზე კარგი საიუბილეო საჩუქარია სპექტაკლის აღდგენა. სპექტაკლის შემქმნელი ცოცხალი აღარ არის, შეტწილად აღარ არიან ის მსახიობებიც, ვისთანაც ერთად დაიდგა იგი. ასეთია ბედი თეატრის რეჟისორებისა და მსახიობებისა, მათ ხელშეხებით აღარაფერი რჩება სიკვდილის შემდეგ. მხოლოდ დამსწრეთა მოგონებებში, წიგნებსა და სტატიებში აღიწერება ხოლმე მათი ღვაწლი. არის აქ რაღაც ტრაგიკული, რომელიც იმავე დროს, უცნაურ საწიგნო გამონათებას აძლევს მთელ ამბავს. ალბათ ამიტომ მოიგონეს ძველმა ბერძენებმა: როცა მსახიობს ასაფლავებდნენ, ხალხი მქუხარე ოვაციას უმართავდა მას. გრანდიოზულ სპექტაკლსა ჰვავდა იგი, სადაც მთავარი გმირი კვდებოდა, მაყურებელი კი აქაც ისე უკრავდა ტაშს, როგორც ეს ჩვეულებრივ წარმოდგენის დროს ხდებოდა ხოლმე. სცენაზე გმირის სიკვდილით ხომ არ მთავრდება მისი სიცოცხლე?!

თეატრალურ პრაქტიკაში იშვიათად ხდება, როცა დიდი რეჟისორის წარმოდგენა ისე განახლებდა, რომ თანამედროვე აუდიტორიასაც გაახსენებს გარდასულ დიდებას. სწორედ ამგვარი მოვლენა მოხდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“ აღადგინა ვერიკო ანჯაფარიძემ. იგი ბრწყინვალე ივლითი იყო კოტის სპექტაკლში და მას კარგად ახსოვდა, თუ როგორ შეიქმნა წარმოდგენა. ახსოვდა მისი პლასტიკური მხარე, მისი აზრი, მისი ემოციური სამყარო...

* * *

მკითხველს უნდა შევასხენოთ, რომ „ურიელ აკოსტა“ 1928 წელს დაიდგა. დიდი რეჟისორის გვერდით დიდი მსახიობები იდგნენ. ცხრაშვილი წლის პეტრე ოცნების მხატვრობა აღტაცებას იწვევდა ყველგან. აკი მაშინ წერდნენ კიდეც მოსკოველები: „უნაკლო, ღრმად-ტრაგიკული ივლითი (ვერიკო ანჯაფარიძე), უძლიერესი ტემპერამენტით განსახიერებული ურიელის ღრმა ტრაგიზმი (უშ. ჩხეიძე). დე-სილვას მშვიდი და მონუმენტური სახე (შ. დამბაშიძე). მშვენივრად დამუშავებული სახე ბენ-აიხასი (ს. ურსოლიანი), თ. ვახვახიშვილის მუსიკა და პეტრე ოცნების — ბრწყინვალე ანსამბლი“. რომელი ქვეყნის თეატრსაც გნებავთ დაამშვენებდა ეს სპექტაკლი თავისი მაღალი ფილოსოფიური და მორალური აზრითაც და შესრულების არტიზმიმაც. მე-დლორამატიზმი, რომელიც გამოხატულია გუცკოვის პიესაში, მარჯანიშვილიმ ტრაგიკული პათოსით შეცვალა. მოაზროვნე, მწიგნობარ მქადაგებელი ურიელი უშანგის შესრულებით უფრო მეტბრძოლი და შემტევი გახდა. მსახიობი მშფოთვარე ტემპერამენტით, გულწრფელი განცდებით ავსებდა მთელ წარმოდგენას და პირობითი თეატრალური ფორმა გამოხატარა იყო მაღალი აზრით, ემოციით.

1980 წლის გასტროლებზე „ურიელ აკოსტამ“ ტრიუმფით მოიარა მოსკოვი, უკრაინა. „მარჯანიშვილი მოვიდა ჩვენთან და... ხელმეორეთ ამდიდრებს ჩვენს თეატრალურ სამყაროს, ჩვენს თეატრალურ შეგნებას“. — თქვა მაშინ დიდი მარჯანიშვილი. მისივე სიტყვით „ურიელ აკოსტას“ დადგმა მარჯანიშვილის თეატრის „უფართოესი ინტერნაციონალიზმის“ მაუწყებელი იყო.

...გავიდა წლები. სპექტაკლი განაგრძობდა სიცოცხლეს. წარმოდგენას შემატენ ახალი შემსრულებლები. ურიელის როლში ს. ზაქარაიძე და პ. კობახიძე, დე-სანტოსი — ვ. გომიანი. შემდეგ კარგახანს ჩამოშორდა სპექტაკლი რეპერტუარს, ახალ თაობებში იგი დარჩა როგორც ლეგენდა. ლეგენდები კი ზოგჯერ ხელს უშლიან ხოლმე მისავე საფუძველზე ახალი თეატრალური ილუზიის შექმნას.

* * *

ეს ილუზია მაინც შეიქმნა. ვისაც „ურიელ აკოსტას“ ძველი დადგმა არ უნახავს, მას ამ სპექტაკლითაც შეუძლია წარმოიდგინოს, თუ როგორი ი-

ნებოდა მისი პირველი სახე. პირველ წარმოდგენას თითქმის ორმოცდახუთი წელი გვაშორებს. უშანგი ჩხეიძეს კი ლ. მესხიშვილის ურიელისაგან ოციოდე წელი აშორებდა. ტრადიცია ორდღესული მახვილია. ერთი პირთ მას შეუძლია იმიტაციის, მიზანძვის სფეროში დასტოვოს ყოველი ახალი, ხოლო, მეორეს მხრივ, გააზიაროს, მტკიცე საფუძველი ჩაუდგას, გზა გაუხსნას სიახლეს. ყველაფერი იმაზე დამოკიდებული ვინ როგორ იყენებს მას. უნდა ითქვას, რომ ინერციულობა და ტრადიციონიზმი ხშირად ე. წ. განახლებულ წარმოდგენებში იჩენს ხოლმე თავს. ასე რომ არ მოხდა, სწორედ ამით არის განსაკუთრებული „ურიელ აკოსტას“ განახლება მარჯანიშვილის თეატრში. ურიელისა და ივლითის შემსრულებლებზეა აქ თითქმის ყველაფერი დამოკიდებული და ეს მძიმე ტვირთი იტვირთეს კოტე მანარაქემ და სოფიკო კი-აურელმა.

კ. მანარაქისათვის საქაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა მარჯანიშვილის თეატრში მუშაობა, მეტი მხატვრული სიღრმე მიეცა მის შესრულებას. უკვე რამდენიმე როლი შეიძლება დავასახელოთ, როგორც აქტორის ზრდის მაუწყებელი. მისი ურიელი განსაკუთრებით გამოირჩევა მათ შორის.

კ. მანარაქის ურიელი რთული ბუნების ადამიანია. აზრისა და გონების ტრაგედია მასში იწვევს დიდ სულიერ რყევას. ცხოვრების ლოგიკა, უღმრთელი სინამდვილე, რომელიც რელიგიური ფანატიზმითაა დაბანგული, ურიელისაგან მოითხოვს კომპრომისს, უარყოფას იმისას, რაც შეადგენს მის რწმენას, იდეალს. წინააღმდეგობათა ამ რთულ კონფლიქტში ნათელ სხივით იჭრება ს. ჰიაურელის ივლითი და ეს ორი მარტოსული იბრძვის დარღვეული მარმონიის აღსადგენად.

აზრის თავისუფლების იდეა, რომელიც სპექტაკლს დაანათლა მისმა დამდგმელმა, ახალ შესრულებაშიც მთელი სისავსით გამოჩნდა; სტილიზირებული, ესთეტიკური პლასტიკური ნახაზები, რომლებიც გამოირჩევიან პირობითი თეატრალური საშუალებებით, მოითხოვენ დიდ შინაგან გამართლებას. შემსრულებლები კარგად გრძობენ სპექტაკლის ამ მხარეს და წარმოდგენაც გამოირჩევა საწიგნო თეატრალობით.

„ურიელ აკოსტაში“ ერთ-ერთი ძირითადი სცენა წყევლის, ურელის შეჩვენების სცენა.

...სხვა, უფრო მძაფრი ტრაგიკული კოლოზია ძნელი წარმოსადგენია. ასე გეგონებათ გოგონებით დატრიალდაო სცენაზე, როცა დე-სანტოსი (ტ. საყვარელიძე) იწვევს წყევლას. შუა საუკუნეებრივი სინამდვილე ეფინება სინაგოვას. სცენაზე დგას წყევლი და წარდგენით ემუქრება ნათელსა და პოეტურს. ურიელის შერისხვა წარმოითქმის კიბის მაღალ საფეხურიდან. ახალი რისხვა კიბის ახალ საფეხურს სცვლის: „წყევლნი იყვნენ ყველა ისინი, ვინც მციკროდენს თანაგვირძნობენ“, — გაოგნებული ისმენს ურიელი. უფრო მეტად შეძრწუნდება მისი სული, როცა წარმოითქმება ყველაზე საზარელი სიტყვა: „შენ და-იწვიბი სიუვარულისგან და ვერ იგემებ მზურვალე აღერს“.

კიდევ ერთი წამი და გაისმის ქალის მთრთოლვარე ხმა.

— სტუი, რაბინო!
ქარიშხლისებურად დატრიალდება ყოველივე სცენაზე. შეშფოთებული ფანატიკოსები იწვევენ ბორჯავს და გარბიან სცენიდან. „ახლა ჩემი ხარ, ჩემო ურიელ“... ქალის აღერსიანი ხმა ავსებს მთელ სცენას.

ეს სცენა ფსიქოლოგიურ გაღრმავებას და განვითარებას აძლევს მომდევნო სურათებში — განსაკუთრებით საქორწილო ცერემონიის შემს. ამ სცენაში ვერიკო ისე კვდებოდა, „თითქმის ეს იყო პირველი თოვლის ფიფქი, მსუბუქი ქართი განაფანტა“ (უ. ჩხეიძე). ამ გზას მისდევს შვილიც, სოფიკოც. მისი გამოთხოვება ურიელთან, სიცოცხლესთან, პოეტურად წმინდა და ამაღლებული.

ჩვენ რეცენზიას არ ვწერთ, რომ ყველა მსახიობი და დადგმის ყველა დეტალი განვიხილოთ. ძველი და ახალი სპექტაკლის გახსენებით, კოტეს ერთ-ერთი ბედნიერი დღე გავიხსენეთ. ერთიო ვამბობთ, მაგრამ განა წარმოდგენა ერთ დღეში იქმნება? რამდენი შრომა, ენერგია, უძილო ღამე და ვნებათაღელვა იხარჩება კულისებს მიღმა, რომ იმ სამ საათში, რომელსაც ჩვენ ერთი სპექტაკლი გვართმევს, ჩაეტოვოს თვეების, ზოგჯერ წლების ნაფიქრი და ნააზრი. მთელი ცხოვრება გაივლის ჩვენს წინ თავისი კონფლიქტებით, სევდით, სიხარულით.

განახლებული სპექტაკლიდან ისმის მართალი სიტყვა. ისმის ვნებიანად, ემოციურად, ღამაზად.

...კოტე მარჯანიშვილი ერთხელ თქვა: ოცდაათი წლის მანძილზე ვეძებდი ჩემს თავს, მე ის ვიპოვე ქართულ თეატრში. ეს იყო გულწრფელი აღსარება. მის სულში ამობრწყინდა სამშობლოს მზე და მერე აღარასოდეს ჩასულა. ამ მზის სხივებით არის განათებული მთელი მისი შემოქმედება და ეს სპექტაკლიც, რომელსაც თეატრმა ახალი სიცოცხლე მიანიჭა.

ვასილ კინაძე.

მიხეილ მესხის სკოლა

ავტობუსმა თითქმის ნახევარი ქალაქი გაიარა და დიდი მასივით შეჩერდა. გზად ერთი პატარა შემოგვხვდა და, როგორც კი ვკითხე, ბავშვთა საფეხბურთო სკოლა საით არის-მეთქი, მუხსვე მიპასუხა:

— ძია მიშას სკოლა?

მალე დაფრწმუნდით, რომ „ძია მიშას სკოლა“ აქ საყოველთაოდ ცნობილია. ავტობუსისა და ტრამვაის გაჩერებიდან, ირგვლივ აღმართული სახლებიდან ბევრი პატარა ბიჭი შემოგვიერთდა. მოდიოდნენ ცალ-ცალკე, ჯგუფ-ჯგუფად, ზოგს ჩანთა მოეგდო მხარზე, ზოგი კი უკვე „საბრძოლოდ“ იყო მზად — ფერადი მაისურით, ტრუსებით, გეტრებითა და კედებით გამოწყობილი. მერე გავიგე, რომ ბავშვებს ამ ჩაცმულობით ტოლებში თავის მოწონება როდი უნდოდათ. თურმე სკოლას გასახდლები არ ჰქონია, ნორჩი ფეხბურთელები იქვე მინდორზე იცვლიან ფორმას, ტანსაცმელს ხან ღობეზე ტოვებენ, ხან ხეზე ჰკიდებენ და ხან პირდაპირ ბალახზე ყრიან. არც საშხაპები აქვთ და წყალს, სულ ერთია, მაინც ვერ გადაივლებენ. ამიტომ, ვინც ახლოს ცხოვრობს, ამქობინებს შინ გადაიცვას და სკოლაში ისე გამოცხადდეს.

გავიფიქრე: გასახდლებისა და საშხაპების უქონლობას გაუძლებს კაცი, მთავარია მინდორი ვარგოდეს-მეთქი. სამწუხაროდ, არც ეს იმედი გამიმართლდა. იქვე, ორ ნაბიჯზე თვალს უხარია „დინამოსა“ და „ლეკოპოტივის“ საწვრთნელი სპორტული ბანების შესანიშნავი გაწონების დანახვა. პატარების სარბიელი იმათთან სწორედ რომ ვერ მოვა, მაგრამ ჩემი მასპინძლები არ წუწუნებენ — ამისთვისაც დიდი მადლობელი ვართო. ალბათ აგონდებათ რამდენი დავიდარბა გადახდათ ამ მინდვრის მოსაწყობად, როგორ იშოვეს ბალახიანი ბელტები გარდაბანში, როგორ ჩამოიტანეს, როგორ დააგეს.

ერთი სიტყვით, პირველ შთაბეჭდილებას დიდად არ გავუხარებოვარ. ამასლა ვფიქრობდი: მეცადინეობა დაიწყება, გამოცვივდებიან მინდორზე ბიჭები, ბურთს ააგდებენ და ყველა უსიამოვნება დაგვაფიწყდება, ყველა ასეთი ნაკლი და ხარვეზი უკანა პლანზე დადგება-მეთქი.

მეცადინეობაც მალე დაიწყო. ცხრილის მიხედვით, ჯერ უფროსკლასელები გამოვიდნენ მინდორზე. მწვრთნელმა-მასწავლებლებმა მიხეილ მინაევმა და ვლადიმერ რამიშვილმა, მიხეილ მესხის ხელმძღვანელობით, მოწაფეები ჯგუფებად დაშვეს და ყველას დავალება მისცეს. გავიდა ნახევარი საათი, ერთი საათი. გახურდა ვარჯიში. დაძაბული გავუხრებ მინდორს, მინდა რამე განსაკუთრებული შევნიშნო. მაგრამ საქმეში ხარ? რით განსხვავდება ეს საწვრთნელი ვარჯიში სხვებისაგან? ჩვეულებრივი მეცადინეობაა, ასობით რომ მიწახავს, ისეთი. მეწყინა, თუმცა ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ბიჭებს საკმაო ტექნიკა აქვთ. შებოჭილი არ არიან. ერთი სიტყვით, ურგვოდ არ თამაშობენ.


— ეს ბიჭები 15-17 წლისანი არიან, — ამბობს მიხეილ მესხი. — უმეტესობა მეორე წელია მეცადინეობს ჩვენთან. უკვე მოზრდილები იყვნენ, როცა ჩვენს სკოლას მოაკითხეს და ბევრი ველარაფერი მოასწრეს, მაგრამ საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მაინც წარმატებით მონაწილეობენ. ერთი უკვე საქართველოს ნაკრების წევრია, ორი — გუნდის წევრობის კანდიდატი. მაგრამ... (მესხი ერთხანს გაჩუმდა, გამომცდელად შემომხედა და ისევ განაგრძო) — შენ ჯერ მთავარი არ გინახავს. იჭფი ცოტა ხანს. მალე პატარებს გამოვიყვანთ.

...ეს ომამდე იყო. მთელს საბჭოთა კავშირში გაითქვა სახელი თბილისის ჭაბუკთა ერთმა გუნდმა, რომელმაც ყველა საკავშირო შეჯიბრება მოიგო. გუნდი შექმნა და მოამზადა შესანიშნავმა სპეციალისტმა, საუცხოო პედაგოგმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ასიორ გალბერინმა. ბავშვებთან მუშაობისას მისი მთავარი პრინციპი იყო არა სტანდარტული ილეთების სწავლება, არა ყველას ერთ უაიდაზე გაწაფვა, არამედ თითოეულში ინდივიდუალური თვისებების, პირადი ღირსების განვითარება, მაშინაც კი, როცა ეს თვისებებურებანი სასოგადოდ მიღებულ ნორმებს არ შეესაბამებოდა. ერთხელ გალბერინმა თქვა:

— კარგია, რომ ბორის პიჩაძეს ბავშვობაში მწვრთნელი არ ჰყოლია. ვინ იცის, ვის ხელში ჩავარდებოდა, ხომ დაიღუპებოდა ასეთი ტალანტი!

ეს სიტყვები საშუალოდ დამამახსოვრდა. თუ ღმერთი გწამთ, ნუ იფიქრებთ, თითქოს გამოცდილი პედაგოგი „ველურ ფეხბურთს“ გვიქადაგებდა და მწვრთნელის როლს საერთოდ უარყოფდა. პირიქით მას მიაჩნდა, რომ ბავშვების აღმზრდელს თვითონ უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული ნიჭი, რომ მასზე — პირველ მწვრთნელზე — დიდადაა დამოკიდებული, როგორი ფეხბურთელი და სპორტსმენი, როგორი ადამიანი გაიზრდება მისი მოწაფე.

არ ვიცი, დიდი მწვრთნელი იქნება თუ არა მიხეილ მესხი, მაგრამ მინდა კი, რომ იყოს. ეს რწმენა განმტკიცდა მას შემდეგ, რაც მიშა ბიჭებში ჩამღარი დავინახე, როცა მივხვდი, რომ ამიერიდან ამ




პატარა ბიჭების ბედი და იღბალი თვითონ მიხეილ მესხის ბედ-იღბლად იქცა. სხვაგვარად არ შეიძლება აიხსნას მესხის არჩევანი: მას, უმადლესი განათლების მქონე სპეციალისტს, გაცილებით უფრო მშვიდ და კარგ სამუშაოს სთავაზობდნენ, მაგრამ არ უღალატა თავის სიყვარულს — ფეხბურთსა და პატარა ბიჭებს. დღეს მესხს ერთი დიდი ოცნება ასულდგმულებს: ჩვენს ფეხბურთს ახალი ქართველი ვირტუოზები აღუზარდოს.

თავად მიშას, როცა ფეხბურთის ანბანს სწავლობდა, მწვრთნელების მხრივ ბედი სწყალობდა — მისი მასწავლებლები არა მარტო დიდი სპეციალისტები იყვნენ, არამედ სწორედ ბავშვებთან მუშაობის კარგად მცოდნე ადამიანები. ჯერ არჩიდ კიკნაძე წვრთნიდა, მერე ანდრო ურდანიანი. მათი წყალობით იქცა მესხი ცნობილ, თვითმყოფად, ყველასგან გამოირჩეულ და განუმეორებელ ოსტატად. როგორც ჩანს, თავისი მასწავლებლებისაგან მიშას მარტო ბურთის ფლობის ხელოვნება არ უსწავლია...

სკოლა 100 მსწავლისთვისაა გათვალისწინებული, მაგრამ გაცილებით მეტი მეცადინეობს. „ბევრი ნიჭიერი ბავშვი მოდის, რა ვუყოთ, ხომ არ გავაგდებთ“, — თითქოს თავს იმართლებს უფროსი






მაშე და ისევ მოაკითხე სკოლას ერთი კვირის, ერთი თვის, ერთი წლის შემდეგ. ხელახლა შეგამოწმებენ და თუ ნიჭს გამოიჩენ, მიღებული ხარ.

მწვრთნელის მუშაობის პრინციპები შერჩევის სისტემაშიც გამოიხატება. მას თავის მოწაფეების არც წონა აფიქრებს, არც სიმაღლე (თუ ტანად პატარები არიან). იგი გამოცდას არ ატარებს ძალასა და სისწრაფეში (ამ თვისებების განვითარება არც ისე ძნელია), მაგრამ მოძრაობის კოორდინაციას, მოსაზრების უნარს გულდასმით ამოწმებს. მესხი ათასნაირ თამაშს, ესტაფეტას, ვარჯიშს იგონებს მხოლოდ იმ მიზნით, რომ ბავშვებს „ბურთთან მუშაობა“ გაუადვილოს. ბიჭები თავისებურად უხდებიან მაღლობას მწვრთნელს — წარმატებით, რაც არ შეიძლება არ გიხაროდეს!

მიხეილ მესხის რვა-ცხრა წლის შეგირდები (ყველაზე ამას ვერ ვიტყვით, რასაკვირველია) ხანდახან ისე აათამაშებენ ბურთს, გამოცდილ ოსტატებსაც შეშურდებთ. ამ დროს „ძია მიშა“ ძალიან ცდილობს ღიმილი დაჰალოს, მაგრამ ვერ ახერხებს — სიხარული და სიამაყე სახეზე ახატია. ალბათ სწორედ ესაა მასწავლებლის ყველაზე დიდი ბედნიერება.

ბ. აპოლოვი.



მწვრთნელი. ერთი არ დასცდება, რამდენი ზედმეტი საზრუნავი მოაქვს თავად მისთვის და მისი თანამშემწეებისთვის ასეთ დატვირთვას.

სკოლაში მიღება, როგორც ყველგან, ჭერ კიდევ სექტემბერში დამთავრდა, ბიჭები კი მაინც მოდიოდნენ და მოდიოდნენ შემოდგომის ნესტიან დღეებში, ზამთრის ყინვაში, როცა სკოლის ისედაც ღარიბი ბაზა კიდევ უფრო მოუწყობელი ჩანდა. მოდიოდნენ ერთი იმედით, რომ „ძია მიშას“ მოაწონებდნენ თავს. ამ მოწონებისთვის კი ყველას უნდა ეჩვენებინა, როგორ იცოდა ბურთის თამაში. რაც უფრო უზრალოდ ეპყრობი ბურთს, უნდა გეჩვენებოდა მით უფრო ადვილია (ამას „კენწლათობა“ ეძახიან), და შანსიც მით მეტი გაქვს. რა ვუყოთ მერე, თუ დღეს ხელი მოგეცარა: შინ ივარჯიშე, ეზოში ითა-

ფოტოები ი. ღვალისა.



მარჯვენა ხელი

იუმორესკა

სამუშაო დღე ახალი დაწყებული იყო. გრძელ დერეფანში სიჩუმე სუფევდა. ვინ ქალაღებს ჩაპკირკიტებდა, ვინ ახალ გაზეთებს კითხულობდა. და უცებ, მმართველის კაბინეტის კარებთან სიკო მთავრიშვილის მჭექარე ხმა გაისმა:

— დაგვლუპა, დაგვაქცია, მოგვთხარა! — და სიკო მმართველის კაბინეტში შეიჭრა, — სილოვანოვიჩ, ხომ ხარ შენ მმართველი და ხომ ვარ მე შენი მარჯვენა ხელი?

— რა ამბავია?
— მთელი გეგმა წყალში ჩაყარა იმ ოქანსაქცელმა!
— ვინ?
— ვინ და ჭიპაშვილმა! ხომ იყო გუშინ სამუშაო დღე?
— მერე?
— მივედი ჭიპაშვილის ობიექტზე. არაა კაცი, აქეთ ვეცო, იქით ვეცო,

ვერ ვნახე. მერე სასაუზმოდ „ბულაპეშტში“ შევედი და ჭიპაშვილს არ წაეაწყდი?! ვუთხარი, წადი საქმეს მიხედე-მეთქი, მეგონა დამიჭერებდა, მარა შენ არ მომიცვდე!

მმართველი უბის წიგნაკში რალაც ფიგურებს იხატავდა.

— მერე, კაცო, „ინტურისტში“ მომიწია შესვლა და იქ არ დამხვდა ის უსაქმური?! გამომიგზავნა ათი ბოთლი „გურჯაანი“ და აორთქლდა! — სიკომ თმა მარცხნიდან მარჯვნივ გადაიტანა და განაგრძო: — ხომ იცი, ნაღვინებზე შამპანური მიყვარს, აველით „ივერიაში“ და რას ვხედავ: გვერდით მაგიდაზე ჭიპაშვილს გადმოუგლია ენა და თამალობს! დავტორტმანდი, მეგონა სისხლი ჩამექცეოდა. ვილაკამ ხელი მომიკიდა და გარეთ გამომიყვანა, ძლივს მოვუს-

ლიერდი სახლში. — სიკომ გადამხმარი ტუჩები მოილოცა და ბორჯომი დაისხა, — მოკლედ, სილოვანოვიჩ, ჭიპაშვილი ნაღვ უბრატ!

კაბინეტში სიჩუმე ჩამოვარდა. მმართველი ჩაფიქრდა, მერე დინჯად დასწერა რალაცა და მდივანი გამოიძახა:

— სასწრაფოდ გადაბეჭდე ეს ბრძანება!

სიკო მთავრიშვილის სახეზე კმაყოფილება აღიბეჭდა:

— ცეცხლი ხარ, სილოვანოვიჩ, ცეცხლი. მე ხომ ვარ და ვარ, მაგრამ შენ? ოო! — და სიკომ გადაიხარხარა.

მისაღებ ოთახში მდივანი საბეჭდ მანქანაზე ცალი თითით უქაუტუნებდა: „შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, სამუშაო საათებში ლოთობისათვის განთავისუფლდნენ ჭიპაშვილი ნ. პ. და მთავრიშვილი ს. ე“.

ასე მოიჭრა მმართველმა მარჯვენა ხელი, არ დაენანა.

ბივი კონტრიქი

უჩანავალი იუმორი

სანიგუშო ვაჟიშვილი

ვაჟიშვილი მთვრალი დაბრუნდა შინ და საშინელი აურზაური ატეხა, მამამ ველარ მოითმინა, გარეთ გამოვარდა.

ქუჩაზე ნაცნობს შეხვდა.
— თქვენ ბავშვები გყავთ არა, ბატისტ? — ჰკითხა გამწარებულმა მშობელმა.

— დიას, ერთი ვაჟი მყავს.
— თამბაქოს ეწვევა?
— როგორ გეკადრებათ? ჭერ ხელიც არ უხლია პაპიროსისათვის.
— რა კარგია. რესტორნებში თუ დაიარება?

— თავის სიცოცხლეში ფეხი არ შეუდგამს იქ.

— ჩხუბი თუ უყვარს ქუჩაში? ან შინ... აურზაურის ატეხვა...

— არა, ბატონო!
— რა საუცხოო ვაჟი გყოლიათ. რამდენი წლისაა.
— ორი თვისა.

თარგმნა ნ. შაქრიანიშვილი

მეზანიკა



ჯარიმა გრძელთმიანი მამაკაცებისათვის

ქალაქ მალიბალის (ფილიპინები) ხელისუფლებმა მიმდინარე წლის აპრილიდან შემოიღეს ახალი გადასახადი გრძელთმიან მამაკაცებისათვის: ვისაც სურს თავი მოიწონოს გრძელი თმებით და როგორმე დაემაფავსოს ღამაში სქესის წარმომადგენლებს, მან უნდა გადაიხადოს წელიწადში 5 პესო (დაახლოებით 70 კაპიკი). ამ გადასახადისათვის თავის არიდება ისჯება 2 დღით ციხეში 'დამწყვედვით', ან ფულადი ჯარიმით.

წინათ პატენტი გაუფორმეს... ქათმის ხელოვნური კვერცხის შექმნისათვის.

ჯონსონმა განაცხადა, რომ მან ხელოვნური კვერცხი დაამზადა წულის, ზეთის ცილებისა და იმ ნივთიერებათა შეზავებით, რომლებსაც ნამდვილი კვერცხი შეიცავს.

როგორც გამომგონებელი ირწმუნება, ხელოვნური კვერცხი შეიძლება მოიხარშოს თხილად, მაგრამ, ანდა თქვენი სურვილისამებრ, მისგან შეგიძლიათ დაამზადოთ ერბოკვერცხი.

გაურკვეველია მხოლოდ ერთი რამ: რა საჭირო იყო ეს გამოგონება, რომლის დამზადება ნამდვილ კვერცხზე ხუთჯერ უფრო ძვირი ჯდება.



საქმე წუთებმა გადაწყვიტეს

მელბურნის (ავსტრალია) უმაღლესმა სასამართლომ ამას წინათ მემკვიდრეობის თაობაზე ატეხილი უცნაური საქმე განიხილა. საქმის შინაარსი ასეთი იყო: მოქალაქე ჯოზეფ როჯერსმა, ევჯიანობის ნიადაგზე, მოჰკლა თავისი ცოლი და შემდეგ თვითონაც მოიკლა თავი. ჯოზეფისა და მისი ცოლის ნათესავებს შორის ატყდა დავა, თუ ვის უნდა დარჩენოდა მათი ქონება.

სასამართლომ დავა ჯოზეფ როჯერსის ცოლის ნათესავების სასარ-

გებლოდ გადაწყვიტა, არა იმიტომ, რომ ქალი ქმრის უსაფუძვლო ევჯიანობის მსხვერპლი გახდა. არა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ უბრალოდ დაადგინა, რომ მიღებული კრილობების შედეგად, ჯერ ქმარი გარდაიცვალა, შემდეგ კი ცოლი. მაშასადამე, დაასკვნა სასამართლომ, ცოლი ქმრის სიკვდილის შემდეგ რამდენიმე წუთს კიდევ ცოცხალი იყო, ამ წუთებში მთელი ქონება მას ეკუთვნოდა; ამრიგად, მისი სიკვდილის შემდეგ კანონიერი მემკვიდრეები მისი ნათესავები არიანო.



ჰაკიანი გოგონები

უკანასკნელ ხანებში დასავლეთის ქვეყნებში ძლიერ გავრცელდა ბავშვთა მოტაცება გამოსასყიდი თანხის მიღების მიზნით; და აი, ქალაქ უოლკდენის (ინგლისი) ერთ-ერთი კოლეჯის მოსწავლე გოგონებმა ბავშვების დაცვისათვის მეტად ორიგინალური და გონებაშაზვიდური საშუალება გამოიგონეს.

მათ დაამზადეს ბავშვების ტანსაცმელზე მისამარებელი მოწყობილობა, რომელიც შესდგება მაგნიტის ორი მინიატურული ფირფიტისაგან.

ეს ფირფიტები ჩართულია ბატარეებით მომუშავე ელექტროწარში. საქმარისია ვინმემ მოინდომოს ბავშვის ხელში აყვანა, რომ მაგნიტის ფირფიტები შეერთდებიან და ირგვლივ წარის საგანგაშო ხმა გაისმის.



იზვიათი სანახაობის მოყვარული

როცა იტალიელი მილიონერის ვიტორიო მანეტის სახლის მახლობლად დაზიანებული თვითმფრინავი ჩამოვარდა და ნამსხვრევებად იქცა, მანეტის რვა წლის ბიჭი ძალიან განაწყენებული დარჩა იმით, რომ ვერ მოასწრო თვალი მოეკრა ასეთი იშვიათი სანახაობისათვის.

ატირებული ბავშვი ვერაფრით ვერ დააწყნარეს მშობლებმა. მზრუნველმა მამამ გადაწყვიტა, ესიამოვნებინა თავისი პირმშოსათვის და იმავე ადგილზე ნამდვილი თვითმფრინავის ახალი ჩამოვარდნა დაფიქსირებინა. მფრინავს ნება მიეცა უკანასკნელ მომენტში პარაშუთით გადმომხტარიყო თვითმფრინავიდან. მამას მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა: შეიძლება ბიჭს არ მოეწონოს მფრინავის გადარჩენა და მესამე თვითმფრინავის ჩამოვარდნა მოითხოვოსო.



ასირებული გამომგონებელი

ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეს ერნესტ ჯონსონს ამას

- მე-6 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები**
- კორიზონტალურად:** 8. ვერსალი; 7. „ივერია“; 8. გრამში; 11. ქედანი; 12. მალტა; 14. გლიერი; 15. კრწანისი; 16. მაჩხაბელი; 18. იტალია; 20. ებანი; 21. ფაქეტი; 25. აკორდი; 26. კვირია; 27. მირიანი.
- ვერტიკალურად:** 1. ხელადა; 2. ალფერო; 4. სავანელი; 5. გვინეა; 6. უშგული; 9. კერკეტი; 10. არგისტი; 12. მასნე; 18. ალალი; 17. ფარავანი; 19. ლოგია; 22. „კუნლია“; 28. იდილია; 24. ბეკონი.

გარეკანის პირველ გვერდზე: აფხაზურ სოფელში. გარეკანის მეოთხე გვერდზე: სოხუმის პეიზაჟები. ფოტო თ. არჩვაძისა.

მთავარი რედაქტორი **გ. ნატროშვილი**.

სარედაქციო კოლეგია: **გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. ღურში-შიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.**

სამ კვ. ც. -ის გამომცემლობა

ტექნიკური რედაქტორი **დ. ხეფიაშვილი**. კორექტორი **ტ. თაბორიძე**.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ. — რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. **ზასხი 30 კაპ.**

გადაეცა ახაწყობად 9/VI-72 წ. ხელმოწერილია დასაბუქდად 26/VI-72 წ. ქალ. ზომა 70x108¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 3. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 2,7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,1. ტირაჟი 51.100. შეკვ. № 2079. უფ 01906.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ კვ. ც. -ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



სოხუმის წავსადგურში.

ფოტო თ. არჩვაძინა.



ინლექს 76056

სტუდენტების კვირგაზეთი

ფოტოთარგამისა.

